



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

OCTOBRE

1930—№ 58

ექტემბერი

1930 წ.

№ 58

# დასავლეთი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე ტ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## შ ი ნ ა ა ტ ს ი :

მეთაური—რა უყვეს საქართველოს?  
საყურადღებო ინტერვიუ საქართველოს შესახებ.  
«ნეზავისიმი კავკაზ».  
ს. ფიონტანოვა—რუსის ს.-დემ. და ჩვენი დამოუკ.  
საქართველოს დამხმარე ინტერნაც. კომიტეტი.

ვიკ. ნოზაძე—საქართველო გეოპოლიტიკისათვის.  
—ლი—გ.—საქართველო ციფრებით.  
შარლატნები.  
ს. შავიშვილი—კუმანიური ილიუზიები.  
ს.—თელელი—წერილი გერმანიიდან და სსრ.

## რ ა უ შ ვ ე ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ?

იყო დრო, როცა ჩვენი არამზადები, ქართველი კომუნისტები, ურცხვით გაიძახოდნენ, რომ მათ იხსნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი ეროვნული თავისუფლება მსოფლიო იმპერიალიზმისაგან. ხალასი ფაქტი, რომ მათ თვითონ შემოუძღვენ უსაშინლეს იმპერიალიზმს სამშობლო მიწა-წყალზე და მოახრჩვეს როგორც დამოუკიდებლობა ისე თავისუფლება, ვითომ არ მომხდარიყოს და მტრებს მოეგონათ! 1922 წ. იმის მოწმეც ვიყავით, რომ, როცა სტალინმა, მაშინ ეროვნებათა კომისარმა, გამოაქვეყვნა საბჭოთა კავშირის ეგრედ წოდებული კონსტიტუცია, საქართველოს «მთავრობამ» და პარტიულმა ცე-კამ ყვირილი მორთეს უკვე დამონებულ ქვეყნის «უზენაეს» უფლებათა ფეხქვეშ გათელვისათვის. ვარნა ისინი როდი იყვნენ წინამძღვრები თვით კავშირისა—აქედან კარგათ გამოსუვივოდა რა შვილიც იყო ეს «უზენაესობა»—და მხოლოდ მოითხოვდნენ კავშირში უშუალოდ შესვლას და არა ამიერკავკასიის ფედერაციის გზით.

ჩვენ ვიცით, რით დამთავრდა არამზადების ახმაურება: ლენინმა, რომელსაც მათ მიმართეს საჩივრით, საქმე ტროცკის გადასცა, იმ ტროცკის, რომელმაც, თავისივე სიტყვებით, «ჩემის ქუსლით» ჩაუმტვრია ხერხემალი ახალ სახელმწიფოს. მომჩივრები გარეკეს «მთავრობიდან» და ცე-კიდან, ზოგნი სამშობლოდანაც და მათ მაგიერ სხვები დანიშნეს.—ესეც ნიძუში «თავისუფალ» ხალხის მიერ თავის მმართველების არჩევისა.

არამზადები სტყუოდნენ, ვითომ ისინი იბრძოდნენ ერის უფლებისათვის, ნამდვილათ კი მათი წადილი და ზრახვები მიმართული იყო პირადი განცხრომისა და დამსახურებისაკენ. მაგრამ ამ მსუხნავ მისწრაფებაშიც ნათლათ სჩანდა მათი შიში ქართველ ერის წინაშე, რომელიც ქედს არ იხრდა და სასოწარკვეთილი გამოსავალს ეძებდა. საქართველო დამოუკი-

დებელია, თავისუფალი!—გაჰკიოდნენ ისინი წარამარა და მოსკოვის კომისარიც ჩიხრინი ამასვე ლაღებდა გენუის და ლონანის კონფერენციებზედ.

რა დიდ მანძილზე ვართ დღეს ამ დროიდან! საქართველო გაცარცული, ერი ღირსება აყრილი, გაბაწრული, მშვიერი, შიშველი—აი ჯამი არამზადების და მათი ბატონების ნამოქმედარისა. მოსკოვმა დიდი ხანი ნიღაბი აიხადა, არ ისვრის მაღალ ფრანებს და ფლობს ქვეყანასა და ხალხს ისე, როგორც არც ერთი მტარვალი წარსულში.

ცინიკურის დაურიდებლობით და სისტემატიურათ მოსკოვი აცლის საქართველოს ყოველ ნიშანწყალს სახელმწიფოებრივ არსებობისა. ჯერ დაიწყა იმით, რომ დაასახიჩრა იგი ტერიტორიალურათ, ჩამოუშვა მისი დროშა, მოუსპო კანონმდებლობა, მართლმსაჯულობა, ადმინისტრაცია და ყველაფერი ჩეკას დაუქვემდებარა; შემდეგ გააუქმა ქართული ფული, გადარიცხა მისი სახელმწიფო შემოსავალი რუსეთის ხაზინაში და დაიყვანა დოტაციის, ან უკეთ—მოწყალეების დონეზედ, დაუქეტა ნავთსადგურები დასავლეთთან სააღებმიცემო, ხელი დაადვა მის სიზღიდრეს და შავი ქვის ექსპორტი თავის შემოსავლის ერთ უმთავრეს წყაროდ გაიხადა.

ჩვენ არ შევეუდგებით იმის გარჩევას, რას წარმოადგენს ამიერკავკასიის ეგრ. წოდებული ფედერაცია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ საქართველო თავისთვის არ დარჩა ძველი რეჟიმის შეკვეცილი საერობო უფლებანიც. თქვენ წაიკითხავთ ადგილობრივ განებებში, რომ, მაგ., სახელმწიფო ტყის, საძოვრების, აგარაკების, წყლის მოვლა-პატრონობაც ამიერკავკასიის მმართველობაშია გადასული.

მაშ რა დარჩათ კიდევ ჩვენს არამზადა «მინისტრებს» სამთავრობო, გარდა მუცელზედ ზოხვისა, ერთმანეთის დაბეზლებისა, გარყვნილებისა? ერთხელ «კომუნისტში» მათი სურათი იყო მოთავსებული,

25 თებერვლის მოსაგონებლათ, როცა მტერი დედაქალაქში შემოიყვანეს. თქვენ წაიკითხავდით მათ სახეზედ სულიერ დაცემასა და არარაობას.

მაგრამ მოსკოვმა დაიწყო სამინისტრო პორტფელების დახვევაც. საგარეო საქმეები ნომ თავიდანვე ჩამოაშორა მან საქართველოს, შემდეგ გზათა, ფინანსთა, მიწადმოქმედების და იუსტიციის საქმეებიც ცენტრს გადასცა უშუალოთ.

რა დარჩა? შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტრონი. პირველის შესახებ არც არამზადები ფიცავენ—ყველაფერი მოსკოვიდან მოგზავნილ უსტინიოვის ხელშია, ქართველი «მინისტრი» მხოლოდ მისი ტიკინაა. მეორე კი, განათლების სამინისტრო, აი რა შეადგენს არამზადების საამაყს! ქართული სახელმწიფო ენა, სკოლა, წიგნი, თეატრი, პრესა—გაიძახიან ისინი.

ჯერ ერთი, რამდენათ მართვა-გამგეობა თითქმის სახსებით ცენტრის ან ფედერაციის ხელშია, იმდენათ, რა თქმა უნდა, გაბატონებულია «ლენინის» ენა. მეორეც, რას გუგეობს ენა, თუ აღკვეთილი გაქვთ თავისუფლათ წერა, კითხვა, ლაპარაკი, აზროვნება? ერი უძველესი ცივილიზაციისა, მდიდარი მწერლობით, ხელოვნებით, სიბრძნით, ბაგე აბმულია, მოკლებული საშუალებას გონებრივ ვარჯიშობისა და განვითარებისა. და თუ მინც ხვდებით აქა-იქ ნიჭიერთ, განათლებულთ, ეგ მხოლოდ მტარვალთა სურვილების წინააღმდეგ ჩნდებიან და მოასწავებს ერის პოტენციალურ ძალას. მაგრამ შენეთ, ეგეც შეშურდათ და ჩვენი დამოუკიდებლობის უკანასკნელი ძეგლიც, ქართული უნივერსიტეტი, დაანგრის, დაქსაქსეს, გაავერანეს.

რალა გავაგრძელოთ, საქართველო დღეს არამც თუ დამოუკიდებელი არ არის, აკლია ყოველი სახელმწიფოებრივი ატრიბუტი, არამედ თვით მისი სახელიც იშლება პოლიტიკურ ლექსიკონიდან. დააკვირდით უკანასკნელს, სიტყვების თამაშს საბჭოთა, და აქედან რუს ემიგრანტების პრესაში, რომე-

ლი იჭერს პირველ ადგილს, საქართველო თუ ამიერკავკასია, და თქვენ დარწმუნდებით, რომ პირველი უთმობს უპირატესობას მეორეს. არ გგონოხთ, რომ ეს შემთხვევით ხდება, პირიქით, წინასწარ მოფიქრებულია და ტენდენციური.

ცენტრალისტური ველიკორუსული არტანები ჩვენ თვალწინ ერთკმის საქართველოს და სწურავს მის ტანსა და სულს. ამიერკავკასია, როგორც გეოგრაფიული ტერმინი, ძველ რეჟიმსაც არ გადაუგდია, თვითონ შემოიღო, ჰყავდა მეფის მოადგილე და მართვდა მას განსაკუთრებული წესებით, რომელიც არ აქუანებდა იქ ცენტრის კულა რეფორმებსაც.

მაგრამ ვის ახსოვს ესლა ეგეები, როცა საბჭოთა მთელი ტერიტორია ინდუსტრიალიზაცია-კოლექტივიზაციის ვეება საცდელ მინდვრად ქცეულა, როცა მონური შრომა კანონდება, როცა გეპეუ მთელს მართვა-გამგეობას თავის ხელში უყრის თავს, როცა პოლიტიკურს მთავარი მდივანი ამ გეპეუს ნამდვილი შეფია?! ხდება უაღრესი კონცენტრაცია ძალა-უფლებისა, ყველაფერი იჩრდილება, ჰქრება, გარდა ერთისა—«უზენაეს» დიქტატორისა, სტალინისა. ხოცვენ და ქლეტენ სწავლულსა და უსწავლელს, სპეციალისტებსა და შავ მუშას, რატომ? მტრად ეგულებათ. ვისი მტრად? სტალინისა, რა თქმა უნდა. ერთია ხალხი, მეორე მისი დიქტატორი, ჯალათი.

მაშ ასე. სტალინის პიროვნებამ შთანთქა ერიც, საქართველო, კავკასიის სხვა რესპუბლიკები, თვით რუსის ერიც. სოციალური და ნაციონალური ერთმანეთში აითქვიფა, გადაიხლართა, სდგება საბედისწერო კვანძის გადაჭრის ხანა. რუსები ამბობენ კვანძის გახსნა შეიძლება, რა უსუსური ოცნებაა!

ჩვენ კვლავ ვიბრუნებთ პირს საქართველოსაკენ. ქართველ ერისაკენ და ვამბობთ: ბედი კარზე გიკაკუნებს, საცაა დაპკრავს უამი და შენც მოგვეცემა შეება გახვიდე სასაბარეოთ, მკლავით ძლიერი, სულით მტკიცე. გმირი.

**საუზრალდებო ინტერვიუ საქართველოს უზსახეზ**

ჩვენ გვექნდა საშუალება გვესაუბრნა ერთ უცხოელთან, რომელიც დიდი ხანია, რაც ცხოვრობს საქართველოში და იცნობს მდგომარეობას ხელმწიფებით. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორია ცხოვრების პირობები საქართველოში, მან გვიპასუხა: მე ვერ გამომინახავს სიტყვა, რომლითაც შეიძლებოდადეს გადმოცემა იმ საშინელების, რომელშიდაც ცხოვრობს ქართველი ხალხი ქალაქად, თუ სოფლად, ამ უკანასკნელ დროს მინც. მდგომარეობა შეიქნა ისეთი, რომ ყველა ფიქრობს—ხვალინდელ დღემ არ უნდა ჩაიაროს ისე, როგორც დღევანდელმა, რომ უნდა მოხდეს რალაც არა ჩვეულებრივი, ვინაიდან ასე გაძლება შეუძლებელია. მაგრამ მეორე დღე თენდება და ეს გაჭივრება გრძელდება, როგორც გუშინ. არ მოიპოვება არც ერთი წრე, თვით კომუნისტურ მინსამსახურეთა სფეროში, რომელიც ორდნავათც მინც უზრუნველყოფილი იყოს არსებობისათვის მინიმალურ საგნით. ბაჭრიდან გაქრა ყველაფერი: პური, შაქარი,

ბრინჯი, სორცი, ფართლეული, ტანთ-საცმელი, ფეს-საცმელი. ამახედ ზრუნავს დილის 4 საათიდან დიდი და პატირა და თუ რამ მოიგდო ხელში მთელი დღის ასეთ წრიად-ტრიალის შემდეგ, დიდი ბედნიერია—, რომ ერთი დღე ზედმეტი გაათრია. რისი გატანაც შეიძლებოდა და ვალიუტათ ქცევა, ხელისუფლებამ საზღვრგარეთ გასაყიდათ გაზიდა. სად უნდა წავიდეთ კარდევ უფრო შორს, როდესაც თბილისში ერთ ბოთლ ღვინოს კარტის გარეშე ვერ იშოვით. საქართველოში, რომლის საზღვრებში ლიმონის და მანდარინის ტყეებია, ლიმონი თუ მანდარინი სანატრულ საგნათ არის გამხდარი. ნავთის წარმოება ომიანობის წინეთ არსებულ დონეზე მაღლა არის გამოცხადებული და ამავე დროს თბილისში ბენზინს ვერ იშოვით. ერთი სიტყვით ვალიუტის ვაკანალიამ მცხოვრებთათვის სიცოცხლე ნამდვილ ჯოჯოხეთად აქცია. ვიმეორებ, რაც გითხარით, ეს მხოლოდ აჩრდილია იმ საშინელ სურათის, რომელსაც დღე-



ვანდელი საქართველოს ვითარება წარმოადგენს.

—როგორია ხალხის სულსკვეთება?—შევევითხეთ ჩვენ.—თქვენ ადვილად წარმოიდგენთ, თუ რას უნდა გრძნობდეს ხალხი ასეთ ატმოსფეროში; როდესაც მთელი დღის განმავლობაში ოჯახის ყველა წევრის ყურადღება მიქცეულია იმაზედ თუ, როგორ გამოძებნოს დღიური არსებობისათვის საშვალეობა, რასაკვირველია, მისი სულსკვეთება როგორ არ იქნება გატეხილი. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი და ეს თუ გნებავთ გამოჩაქვლია მთელ საბჭოთა რუსეთში, ქართველი ხალხი შედარებით მაინც სულიერად მაგარია და უიმედობას თქვენ მის სახეზე ვერ ამოიკითხავთ. ის ისე არ არის დამონებული, როგორც ამას თქვენ ხედავთ, როცა საქართველოს საზღვრებს გასცილდებით. რამდენად თქვენ რუსეთისაკენ მიიწვევით. ამ მორალურ დეგრესიას უფრო მეტად გრძნობთ.

—გრძნობს, თუ არა ხელისუფლება თავის თავს უზრუნველყოფილად?

ჩემის დავიერებების შედეგი ის გახლავთ—გვიპასუხა მესაუბრემ.—რომ ხელისუფლება საქართველოში თავის თავს მუდამ გრძნობდა მტრის ბანაკში. მას მუდამ ძარღვები დაჭიმული აქვს და ყურადღება არაბუნებრივად წამახული. მისი აპარატი გამუდმებით თვალყურს ადევნებს, თუ საიდან, რა საშიშროება მოვლის. თავისთავად ცხადია, რომ უღრმესი სიძულვილით გამსჭვალული ხალხის ნდობა მას არ აქვს. და განა ამბობენ საქართველოში, თუ სხვა ამიერკავკასიის კუთხეებში ჩვეულებრივ მოვლენათ არ არის ქცეული? საქართველოში უფრო ნაკლებ ამ ბო-

ლო ხანს, ვიდრე სხვაგან, ადრებეიჯანში თუ სომხეთში, სადაც მცხოვრებლები, თითქოს მეტ მოთმინებას იჩენდა ამ არა ჩვეულებრივი რეჟიმის მიმართ: ეს შედარებითი მყუდროება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ქართველი ხალხი, როგორც პოლიტიკურად უფრო მომზადებული, ორგანიზაციულ მთლიანობას იჩენს და ერიდება ამ დროებით სტიქიურ გამოსვლებს. საერთოდ მთელ კავკასიაში კი ჩემი შთაბეჭდილებით ჩაუქრობელი ცეცხლი ანთია და ხელისუფლება ვერ შესძლებს მის სამუდამოთ ჩაქრობას.

საოკუპაციო ძალა, თუმცა არა ძველებური ენტუზიაზმით, მაგრამ მაინც მძვინვარებს. გეპუს რეპრესიები გრძელდება. ციხეები და ჩეკის სარდაფები გავსებულია ტუსალებით, მას ამისათვის ადგილიც არ ყოფნის და აი მეორე წელიწადია, რაც ძველი სამხედრო ტაძრის ადგილას შენდება ვეებერთელა შენობა გეპუსათვის. საინტერესოა აღვნიშნათ, რომ ამ ხნის განმავლობაში მიუხედავად განუწყვეტელი მუშაობისა, მხოლოდ სარდაფის ნაწილია გამართული და მას არ ასცილებია. ამბობენ, რომ იმდენი სხვადასხვა ზაღებია და ჩეკის საკნები შიგ მოთავსებული, რომ მთელი თბილისის შიგ მომწყვედეა შეიძლება.

ამაირად თითქოს სურათი უიმედოა, დაასრულა მოსაუბრემ. მაგრამ მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს რეჟიმი უცხო ვალიუტით თავს ვერ შეინახავს და რაც მან ამ წლების განმავლობაში ქარი სთესა, მის მაგივრად გრიგალს მოიმკის, რომელიც მასვე შთანქვას.

„ ნ ე ზ ა ვ ი ს ი მ ი კ ა ვ კ ა ჯ “

ერთი წლის მანძილზე გამოვიდა მესამე ნომერი ურნალისა, რომელიც ამ სახელს ატარებს. ეს რუსული გამოცემა ნათლავს თავისთავს «კავკასიურ კონფედერალისტურ აზრის ორგანო». მისი პირველი გამოსვლა მორცხვი და მორიდებული იყო. ახალი ორგანო ირწმუნებოდა «საქიროთ ვრაცხთ განვაცხადოთ, ჩვენი პირველივე ნაბიჯიდან, რომ ჩვენი გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ მოასწავებს და არ გამოხატავს რაიმე უთანხმოებას იმ კავკასიურ ორგანიზაციებთან და ბეჭდვითი ორგანოებთან, რომლებიც უკვე რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებენ ბრძოლას კავკასიის დამოუკიდებლობისათვის». «ჩვენ ვცნობთ მათ დამსახურებას და გვსურს მხოლოდ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ მუშაობაში» («ნენ. კავკ.» № 1. მოწინავე). ამგვარად, კავკასიის ანტი-მოსკოვურ ფრონტს, უკვე არსებულ გამათავისუფლებელ ბრძოლას თითქოს ახალი ძალა შეემატა, ჩვენ კიდევ ახალი თანამებრძოლი და მომძმე შეგვეძინა. სიხარულის მეტი რა გვმართებდა!

მაგრამ ვავიდაგოთი წელი, ხანა თურმე სრულიად საკბარისი იმისთვის, რომ «კავკასიურ კონფედერალისტების» მეხსიერებიდან სავსებით ამოშლილიყო რასაც ისინი თავის საპროგრამო წერილში სწერდნენ. მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია და კავ-

კასიურ რუსულ ორგანოშიც მორიდება და ზომიერება განზე გაისროლა და მესამე ნომერში მოგვევლინა უკვე არა როგორც «დამხმარე», არამედ როგორც «ავანგარდი თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიის ხალხებისა», რომელსაც თურმე უკვე შემოუკრებია თავის ირგლივ «კავკასიის ორგანიზაციათა და პატრიოტთა კოალიცია» და «ნამდვილი საერთო კავკასიური ფრონტიც» დაუარსებია. (იხ. «ნენ. კავკაზ»-ის მესამე ნომრის მოწინავე). ქართულმა ანდახამ დიდი ხანია სწორი ფასი დასდო თავის ქებას და ჩვენც გვერდს აუფიქრდით ამ უზომო და უნიდადგო ყოყლოჩინს, რომ მას ერთი ვერგეოება არ ერთვოდეს. ჩვენს «კონფედერალისტებს» მოუწადინებიათ თავისი თავის განდიდება სხვის ხარჯზე, სხვისი გზახების, სახელისგატეხის და დამციროების ფასათ. თუ პირველი ნომრის მოწინავე ირწმუნებოდა, არაფერი გვაქვს სადაო და საოპოზიციო არსებულ მებრძოლ კავკასიურ ორგანიზაციებთან, მათ დამსახურებას ვაღიარებთ და მათ დამხმარეთ გამოვდივართ. იმავე გამოცემის მესამე ნომრის მოწინავე თავიდანვე ცხადებს—ჩვენი გამოსვლის და არსებობის აზრი და მიზანია გავემიჯნოთ იმ სხვა «საერთო»—კავკასიურ ორგანიზაციებს და ჯგუფებს, რომლებიც ვითომდაც დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან

და იბრძვიან ვითომც კავკასიის იმავე კონფედერატიულია მოწყობის კონცეპციით»-ო. და აი, ეს მესამე და წინანდელის უარყოფითი საპროგრამო წერილი ჩამოთვლის განსხვავებებს, რომელიც კავკასიელ «კონფედერალისტთა» და ძველ საერთო-კავკასიურ ორგანიზაციებს შორის არსებულა. პირველი განსხვავება თურმე იმაში მდგომარეობს, რომ «ჩვენ ვეყრდნობით კავკასიის საკუთარ ძალებს და გადაჭრით ვემიჯნებით ყველა იმ «მონათესავე» ორგანიზაციებს, რომლებიც ქიშკრით იკვებებიან, ორიენტაცია უჭირავთ კავკასიის გარეშე მდებარე პრობლემატიურსა და ხშირად ჩამოუყალიბებელ (ბევფორმენიე) ძალებზე და მსოფლიო ამოცანებს ისახავენ»-ო.

რომ ღირსეულად დავაფასოთ ასე იოლად გადმოსროლილი ბრალდება, გავსნათ ფრჩხილები და ვნახოთ—ვინ არიან ეს «ჩვენ», დღეს რომ ასე მოურიდებლად ახვევენ სხვას უცხო ძალებზე ორიენტაციას. «ნუნავისიმი კავკაზ»-ის ირგვლივ შეკრებილ «კოალიციაში» შედის მხოლოდ ერთი ორგანიზაცია, ქართველ ეროვნულ-დემოკრატიულ «გამდგარი» ჯგუფი; აწერბეყანლებს ჩვენ აქ საზოგადოთ ვერ ვხედავთ, ორიოდ სომეხი მხოლოდ მესამე ნომრის გამოსვლისას მიუხვრიათ, მთიელებიდან კი სჩანან ბ. ბ. ბამატი და ელეკსკტი. ამგვარად ეს ყოფილა ორგანო ჩვენი (ქართველი) საერთო ფრონტიდან გაქცეულ ნაციონალდემოკრატიულ ჯგუფის და ორი მთიელის. ქართველ მკითხველს არ ესაჭიროება მოვავლონოთ «გამდგართა» შეხედულება უცხო ძალებზე ორიენტაციის შესახებ, სწორედ მათი წრიდან გაისმოდა მუდამ, საქართველოშიც და ემიგრაციაშიც, საყვედური «საქართველოს მთავრობისადმი—«მთარველი» დიდი სახელმწიფო ვერ მოიპოვეთო, ქართულ საერთო ფრონტში მუშაობის დროს, სწორედ ესენი იცავდნენ თავგამოდებით ჩვენი ბრძოლის უცხო ძალების ჩარევანზე დაყრდნობას როცა სხვები ამის ეწინააღმდეგებოდნენ.

ისტერვენციის და უცხო ძალებზე ორიენტაციის ეს მუდმივი მოტრფიალენი დღეს სხვას უეჭინებენ—ქიშკრით იკვებებიან, ორიენტაცია უჭირავთ კავკასიის გარეშე მდებარე ძალებზეო. ჩემი შენ ვითხარი გული მოვიკალიო—სწორედ ამას ჰქვიან. ჩვენს, ქართულ, წრეში ვერავის შეიყვანენ შეცდომაში ეს ახლად მოვლინებული «კონფედერალისტები», ხოლო საგარეთო მათი ცრუ ბრალდება ქართველ და კავკასიურ მებრძოლთა ბანაკში გადმოსროლილი, ურიგო ხასიათს იღებს და უერთდება იმ რუსულ და სომხურ წრეების დადას, რომელებიც ჩვენი ეროვნული ბრძოლის გასაბახებლათ ათასგვარ ჭორებს თხნავენ ჩვენს პასუხისმგებელ ორგანიზაციებზე და მთელს მათ მოღვაწეობას «კავკასიის გარეშე მდებარე ძალებზე ორიენტაციათ» და ინტერვენციის ძიებათ ნათლავენ. ასეთი სასახლო და «პატრიოტული» კომპანია «კონფედერალისტებისათვის» დაგვილოცნია.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ—რას ნიშნავს ჩვენი «კონფედერალისტების» მიერ უცხო ძალებზე ხელის აღება? ამაზე პასუხს იძლევა «ნუნ. კავკ.»-ის იმავე მესამე №-ში მოთავსებული წერილი ბ. დ. ვაჩნაძისა,

რომელიც, ასე ვთქვათ, ავითარებს და დაწვრილებით განმარტავს მოწინაის აზრებს. ბ. ვაჩნაძე პირდაპირ ქადაგებს—ერთა ლიგანზე ორიენტაციას თავი უნდა დავანებოთ, რადგან ეს რუსეთსა და ოსმალეთს აშინებსო. მისი სიტყვით «კავკასიის ემიგრანტული ჯგუფები» თურმე «უკვე 10 წელიწადია იქნევენ ევროპით დამუქრების სმალს. (ჩარევა ერთა ლიგის, მეორე ინტერნაციონალის და სხვ.?)» და მით ჩვენს ჩრდილო და სამხრეთ მეზობლებს აღიზიანებენო. ამნაირად, რომ მოსკოვი არ გავაბრაწოთ და არ გავაღიზიანოთ, ჩვეი უნდა ავიღოთ ერთა ლიგის პოლიტიკაზე და დასავლეთის დემოკრატიულ წრეების თანაგრძობაზე. თუ ეს არის «კონფედერალისტების» ახალი პოლიტიკა, სწორედ მასთან არაფერი აქვს საერთო კავკასიის და დაკერძოთ საქართველოს მებრძოლ ორგანიზაციებს. აქ ისინი მართლაც იმიჯნებიან არა მხოლოდ «მონათესავე» ემიგრანტულ ორგანიზაციებიდან, არამედ ქართველი ხალხის მისწრაფებისაგან, რომლის ცდა სწორედ იმაში მდგომარეობს რომ აღმოსავლეთის დესპოტიზმის გავლენას თავი დააღწიოს და მოწინავე კაცობრიობის ფერხულში ჩაებას. ბ. ვაჩნაძეს საოცრად სუსტი მეხსიერება უნდა ჰქონდეს, თორემ როგორ დასწვრდა—ერთა ლიგის ჩარევა «ემიგრანტულ წრეების პოზიციათ»-ო. არა, ბატონო, ეს გახლავთ მებრძოლ ქართველი ხალხის პოზიცია, რომელმაც გამოხატულება კპოვა ძველი დამკომის არა ერთსა და ორს მიმართვაში ერთა ლიგისადმი და აგრეთვე იმ შესანიშნავ ღოკუმენტში, რომელიც განსვენებულმა კათალიკოსმა ამბროსიმ გენუის კონფედერაციას გაუწავანა. ერთა ლიგის გზის და «ორიენტაციის» უარყოფა გახლავთ აღიარება იმ მოძალადურ, ყაჩაღურ პოლიტიკისა, რომელსაც მტერი ადგას და რომლის მსხვერპლი ჩვენი ქვეყანა გახდა. ტყუილად კი არ სწყურია ბ. ვაჩნაძეს მოიპოვოს «ნდობა» არა მარტო. «სამხრეთ მუსულმანურ ქვეყნებში, არამედ ჩრდილოეთშიც სლავიანურ ხალხთა შორის»...

მეორე «არსებითი განსხვავება» «კონფედერალისტებსა» და არსებულ კავკასიურ მებრძოლ ორგანიზაციებს შორის თურმე იმაში მდგომარეობს, რომ პირველნი მისდევენ პრინციპს: «კავკასია კავკასიელებისათვის», ხოლო უკანასკნელნი ალბათ ამას უარყოფენ. «ჩვენო—აცხადებენ მედიდურათ კონფედერალისტები—არ კუკავშირდებით იმათ, რომელნიც ფიქრობენ დამოუკიდებელ კავკასიის შექმნას კლასიური განხეთქილების ნიადაგზე, არც იმათ ვინც ქადაგებს სხვა «ფილოზას» ვინემ კავკასიისას»... ამოდენა პრეტენზიების მქონე ხალხს მოეთხოვებოდა, რომ თავიანთი აზრი გარაკვეულათ და გაბედულათ გამოეთქვათ, თორემ არა საკადრისია «რევოლუციურ ავანგარდისათვის» ასეთი მიკიბულ-მიკიბული ქარაგმები. რამდენადაც მოყვანილ ციტატიდან აზრის გამოტანა შეიძლება, ჩვენი «გამდგარნი» იმეორებენ რუსულად იმასვე, რასაც ქართულად ქადაგებენ «სამშობლოში»: საქართველოს სოციალდემოკრატიკა ეროვნულ ბრძოლიდან უნდა გამოირიცხოსო. ჩვენ კი გვგონია—და ამას ადატურებს ყველა ჩაგრულ ერების ბრძოლის ისტორია—, რომ საქართველოს და კავკასიის განთავისფლება შეუძლებელია თუ



ბრძოლაში ყველა ცოტათ თუ ბევრად სერიოზული ძალები არ იქნა შემოკრებილი. ხოლო სოციალდემოკრატიის მებრძოლთა რიგებიდან გარიყვა, მოასწავებდა ქართველი ერის მნიშვნელოვანი ნაწილისაგან განწე გადგომას, ბრძოლის გათიშვასა და დაუძღურებას. ასეთი უგუნურება შეიძლებოდა მხოლოდ ემიგრანტულ წრეებში დაბადებულთაგან, საქართველოში კი წარსულშიც და დღესაც ყველა პოლიტიკური პარტიები ხელი-ხელ ჩაკიდებული და ერთმანეთის დახმარებით იბრძვიან. ხოლო მტრის წინაშე საკუთარი ფრონტის დარღვევის მოციქულნი საესებით მოწყვეტილნი არიან არა მარტო ერის სულიკვეთებას, არამედ იმ პარტიის ძირითად სახსაც, რომლის წარმომადგენლობას ისინი დღეს ასე უსაფუძვლოდ იჩემებენ.

რაც შეეხება უცხო «ფილოზას», კავკასიის მოღვაწეთა შორის ამას სამწუხაროთ მართლაც ჰქონდა ადგილი წარსულში. და რადგანაც ჩვენს «კონფედერალისტებს» მოუსურვებიათ დღეს კავკასიის ახლო წარსულის ამ მტკივნეული მომენტების მოგონება, ჩვენ ვურჩევთ მათ თავიანთ შორის მიხედ-მოიხედონ...

შემდეგი უპირატესობა «ნეზავისიმი კავკაზ»-ისა თურმე იმაში მდგომარეობს, რომ მას, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უკვე შემოუკრებიდა თავის გარშემო «კავკასიის ორგანიზაციათა და პატრიოტთა კოალიცია», შეუდგენია «ნამდვილი საერთო კავკასიური ფრონტი»... ჩვენი «კონფედერალისტები» რაღაც ჯადოსნური ძალით უნდა იყვნენ აღჭურვილნი: საკმარისი იყო რუსული ყურნალის ორად-ორი ნომერი გამოეცათ, რომ კავკასიის ყველა ერების სასიცოცხლო ძალები შემოეკრიბათ და შეეკავშირებიათ! ეს

ამოდენა მიღწევა მართლაც სანაქებო იქნებოდა, რომ «კონფედერალისტების» ეს განცხადებაც უბრალო ტრაბახი არ იყოს. რადგან «ნეზავისიმი კავკაზის» ირგლივ ჩვენ ეხედავთ თითო-ორი პირებს რომელთაგან არც ერთი არ წარმოადგენს რომელიმე ერის ძალებს. ის ორი თუ სამი სომეხი, რომელთაც ასე მოაქვს თავი რედაქციას, უთუოდ პატივსაცემი პიროვნებანი იქნებიან, მაგრამ ყურნლს ესენი მიკედლებიან პერსონალურად და არა როგორც სომხეთის ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენელნი. ესევე უნდა ითქვას მთიელებზე. აზერბეიჯანელი საზოგადოთ არ სჩანს ჩვენს რუსულ ორგანოში; ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ბ. ბ. ამირეჯიბი, ვაჩნაძე და ასათიანი იღვიწიან იქ ქართველ ემიგრანტთა ერთი ჯგუფის სახელით. ასეთია ფაქტური მდგომარეობა, რომელიც «კონფედერალისტების» ემიგრანტულ ფანტაზიაში კავკასიის ერთა კოალიციათ ისახება.

«ნეტარ არიან მორწმუნენი», ვიტყვით ჩვენ, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ყურნალის სულის ჩამდგმელთ შეუძლებელია რომ თვით სწამდეთ ყველაფერი ის, რასაც ასე მყვირალათ აუწყებენ რუსულ ენაზე შინაურსა და გარეშეს. ეს სულის ჩამდგმელნი გახლავან ჩვენი საერთო ფრონტიდან გამდვარნი, რომელთაც თავისი პოლიტიკური სიღუბეტიერ რუსულ ყურნალს უნდა ამოფარონ. ფუჭი საქმეა! მათ უნიადავო თვითგანდიდება და ცრუ ბრალდებები შინაურობაში გასავალს ვერ ჰპოვებენ, საგარეოთ კი მათი ურიგო თავდასხმა კავკასიის მებრძოლ ორგანიზაციებზე გაახარებს და წახალისებს მხოლოდ ჩვენი ერების დამოუკიდებლობის სხვადასხვა ჯურის მტრებს.

ასეთია საერთო ფრონტიდან განდგომის ლოლიკა.

**რუსის სოც.-დემოკრატები და ჩვენი დამოუკიდებლობა**

რუსის სოც.-დემოკრატებში ჩვენი საკითხის გარშემო პოლემიკა ვაიმართა. კამათის გასაგებად მკითხველმა უნდა გაიხსენოს უკანასკნელი წლების ამბები. შარშან რუსის ს.-დემ. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეროვნული საკითხის პლატფორმა გამოაქვეყნა, რომელშიაც აღიარა ყველა ერისათვის «სრული ეროვნული თვითგამორკვევის უფლება თვით დამოუკიდებლობამდე». ხოლო ამ განცხადებას დასძინეს ისეთი შენიშვნა, რომელიც მას ყოველსავე მნიშვნელობას უკარგავს—სახელდობრ ის, რომ არსებითად დამოუკიდებლობა დაჩაგრულ ერებისთვის მანებელია და ამიტომ უფლებას ვიტოვებთ ყოველგვარი წინამდებობა გაუწიოთ საბჭოთა ფარგალში შემავალ ერების სეპარატისტულ მისწრაფებას. ამასთან ერთად პლატფორმა ცალკე შეეხებო საქართველოს და მოითხოვა «საოკუპაციო ჯარების გაყვანა საქართველოდან და ამ ქვეყნისთვის მართლაც თავისუფალ თვითგამორკვევის საშუალების მიანიჭება». მართალია პლატფორმა ამით თითქოს სადავოდ ხდიდა ქართველი ერის 26 მაისის სრულსა და გადაჭრულ თვითგამორკვევას და საჭიროდ მიიჩნდა ამის განმეორება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში

იგი თავის კეთილგანწყობილებას გამოხატავდა საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ.

წელს გახაფხულზე პარიზში რუსის სოც.-დემოკრატების ერთმა ლიდერთაგანმა დანმა მოხსენება გააკეთა საბჭოთა რუსეთზე და კამათის დროს ცხარედ გაილაშქრა ირ. წერეთლის წინამდებ: რუსეთის დაშლას ემსახურება, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობას მოითხოვს. ამან ირ. წერეთლის საპასუხო წერილი გამოიწვია, რომელიც სოც.-დემოკრატებმა თავის «სოც. ვესტ.»-ში არ დაუბეჭდეს და ესერების ორგანოში იყო მოთავსებული. შემდეგ დაიბეჭდა დანის და დალინის წერილები ეროვნული საკითხის და ჩვენს შესახებ და ისევ ირ. წერეთლის წინამდებ, რომელსაც წინად რუსის სოც.-დემოკრატები მგზრად უჭერდნ მხარს, როცა იგი ეყრდნობოდა დემოკრატებს და ამბობდა, საერთოდ ჩვენი ხსნა მხოლოდ დემოკრატიის განვითარებაში არის. ეხლა ხსენებულმა პირებმა ირ. წერეთელს ულოლიკობა უკიჟინეს, რუსეთის დამარღვევლად გამოაცხადეს, ეროვნული მისწრაფება ბოლშევიკურად ერთგვარ ჩამორჩენილობად და ცრუმორწმუნეობად დასახეს, ეროვნული ბრძოლა დემოკრატიისათვის მავ-



ნებელია და კერძოდ საქართველოს განთავისუფლება არც საქირთა და ალბათ არც თვითონ ქართველ ხალხს უნდაო.

კამათი გაფართოვდა და «სოც. ვესტნ.»-ის ამა წლის 27 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია სამი ვრცელი საპოლემიკო წერილი: ერთ მხარეზე დგანან აბრამოვიჩი და არონსონი და მეორეზე კურნალის რედაქცია. აბრამოვიჩი ებრძვის იმ «ეროვნულ ნილილიზმს», რომელიც გაბატონებული იყო რუსის სოც.-დემოკრატიის დიდ ომამდე და რომელმაც, ეტყობა, ახლაც წამოყო თავი; მისი შეხედულებით ერის განმათავისუფლებელი ბრძოლა, ეროვნული რევოლუცია დადებითი პროცესია და ეროვნული თვითგამორკვევა ისტორიული გზაა დღევანდელი საზოგადოებრივობის განვითარების. რაც შეეხება საქართველოს, აბრამოვიჩი იცავს მის დამოუკიდებლობას და უმტკიცებს თავის ამხანაგებს, რომ ისეთი განაპირა ქვეყნის ჩამოშორება, როგორც საქართველოა, სრულებით არ გამოიწვევს რუსეთის დანაწილებას. მაგრამ დასძენს, რომ ყველა ეროვნული საკითხების გადაჭრა უნდა მოხდეს, როცა რუსეთში დემოკრატია დამყარდებაო.

არონსონი უფრო გაცხარებულია და გაბედულად ლაპარაკობს და მისი წერილის სათაურიც საგულისხმოდია: «ქართული პრობლემა და რ. ს.-დ. მ. პარტია». ავტორი ეკითხება დანს და დალინს: უკვე მიღებული და დამტკიცებული პლატფორმის გადასინჯვას და რევიზიას ხომ არ აპირებთ? რუსეთის სოც.-დემ. პარტიამ დიდი ხანია იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველმა ხალხმა ერთსულრვანად გადაწყვიტა ცალკე არსებობა, მოაწყო საკუთარი სახელმწიფო; მას არ შეუტვლია თავისი აზრი, დღესაც დამოუკიდებლობის აღდგენას ესწრაფვის და არ შეგვიძლია ამას არ თანავუგრძნოდ და მხარი არ დაუჭიროთ. ვინაიდან ბრძოლა დემოკრატიისათვის ნიშნავს ბრძოლას ერთა განთავისუფლებისათვისო.

როგორც ვსთქვით, «სოც. ვესტნ.»-ის რედაქცია არ ეთანხმება აბრამოვიჩსა და არონსონს და გვაძლევს რუსის სოც.-დემოკრატების შეხედულობის ოფიციალურს განმარტებას, რომელიც იმეორებს განყენებულს განცხადებას ერთა თვითგამორკვევის შესახებ. ეს თვითგამორკვევა, გვეუბნება რედაქცია: შესაძლებელია განხორციელდეს განსაზღვრულ პირობებში, მაგრამ მაინცადამაინც სასარგებლო და სასურველი არ არის; ყოველ შემთხვევაში ეროვნული საკითხის გადაჭრა საბჭოთა რუსეთის ფარგალში უნდა გადაიდვას დემოკრატიის დამყარებამდე. კერძოდ რაც შეეხება საქართველოს, რედაქცია ამტკიცებს, რომ ჩვენს პარტიას არასოდეს მიუცია უპირატესობა საქართველოსათვის და ურჩევს უკანასკნელს, ნაკლებად იფიქროს სეპარაციანზე.

ასეთია მოკლე შინაარსი პოლემიკისა რუსის ს.-დემოკრატებში ეროვნული და კერძოდ ჩვენი საკითხის შესახებ. უდავოა, რომ ეს პარტია სავსებით დაუბრუნდა თავის ძველს უარყოფითს ეროვნულ ტაქ-

ტიკას და ამას სრულებით არ ცვლის არც ზოგიერთი, თითოეორთა წევრის განსხვავებული აზრი და არც მთელი პარტიის მიერ განცხადებული ზოგადი დეკლარაცია, უკვე საქმოდ გაცვეთილი და დახვედებული, ერთა თვითგამორკვევის უფლებისა. მსგავსი საერთო ხასიათის პრინციპიალური სიტყვები დღეს სრულებით არაფერს ამბობს და ვერავის ყურადღებას ვერ მიიქცევს. საქმე პრინციპის განხორციელება და აი სწორედ, როცა პრინციპის—ეროვნული თვითგამორკვევის—შესრულებაზე მიდგება საქმე, რუსეთის სოც. დემ. პარტია გადაჭრით გვეუბნება, რომ ყოველის ღონით შეეცდება ხელი შეუშალოს რუსეთის ჩაგრულ ერების განთავისუფლებას. რასაკვირველია ასეთ შემთხვევაში დასახელებულ პრინციპიალურს განცხადებას ეკარგება ყოველი აზრი და ის მხოლოდ თვალთმაქცობა და მატყუარობაა.

სამწუხაროა, მაგრამ ეს სინამდვილეა და ყოველმა ქართველმა კარგად უნდა იცოდეს, რომ რუსის სოც. დემ. პარტია საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგია. იგი უერთდება ჩვენს მტრებს (არსებითად არ განსხვავდება კომუნისტებისაგან ეროვნულ საკითხში) და მათთან ერთად სუქდავს ჩვენი ეროვნული მონობის ბორკილებს. მთელმა ქართველმა ერმა, ვით ერთმა კაცმა, გადაწყვიტა თავის დამოუკიდებლობის აღდგენა, დღეს იგი თავგანწირულად იბრძვის და არავითარ მსხვერპლს არ ერიდება თავის თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწყობად, რომელიც მხოლოდ ერთი მისცემს მას საშუალებას სრული ქონებრივი და გონებრივი განვითარებისათვის.—ყველაფერს ამას ოდნავ ანგარიშს არ უწევენ რუსის სოც. დემოკრატები და უნდა ისტორია უკან შეაბრუნონ და ხელი აგვადებინონ ჩვენს განთავისუფლებაზე.

გვემუქებიან კიდევ, გვაშინებენ კიდევ, გვიკრძალავენ კიდევ ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ, პროპაგანდა გავწიოთ ჩვენი განაწამები ქვეყნის დასახსნელად!

მაგრამ იცოდნენ მტკიცედ მათ, ვინც ჩვენი მეგობრები და დამხმარენი უნდა ყოფილიყვნენ და ნაცვლად ამისა მოწინააღმდეგეობად და მტრებად გამოდიან, რომ ქართველი ერი არ შეხრის თავის სამართლიან გადაწყვეტილებას, არასოდეს დასტოვებს გზას, რომელიც მისი სრული განთავისუფლებისკენ მიდის და არ შეანელებს ბრძოლას, ვინც არ უნდა დაუდგეს წინ. და რცხვენოდეთ მათ, რომელთაც თავი დემოკრატიის ნაფიც მოსარჩლეებად მოაქვთ მუდამ და დემოკრატიაზე გაყვირიან წამდაუწუმ, რომ თავიანთ მოქმედებით ლახვარს სცემენ ზურგში ქართველ დემოკრატიას, რომლისგან მოითხოვენ ეროვნული განთავისუფლების უკუგდებას, ვინაიდან გან დღეს (ეს ბავშვმაც უნდა იცოდეს) საქართველოში ყოველი დემოკრატიული მიმართულება სწრაფად და კატასტროფიულად დაიშხვრევოდა, თუ ხელში აიღებდა დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო დროშას.

ს. ცირცხალავა.



საპარტიო მუხრანის დასახლება ინტერნაციონალური კომიტეტი

სექტემბრის 24 შესდგა ყენევაში საზოგადო შეერთებული კრება საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტისა და ასოციაციისა. კომიტეტის თავმჯდომარე ყან მარტენმა მოხსენება გაუკეთა კრებას ერთი წლის მოღვაწეობაზე. მან სხვათა შორის აღნიშნა, რომ უკანასკნელ რამოდენიმე თვის განმავლობაში საზოგადოებას მომატებია ორმოცამდე ახალი წევრი, რაც მოწმობს საქართველოსადმი სიმპატიის ზრდას.

შვეიცარიის დემოკრატიული ტრადიციები ითხოვენ, რომ საზოგადოების თავმჯდომარე ყოველ წელიწადს იცვლებოდეს. ყან მარტენიც, როგორც ერთგული ასეთი ტრადიციებისა, ყოველ წელიწადს თავის მოხსენებაში ითხოვდა მის ადგილას სხვის არჩევას. მარა ის, როგორც არა ნაკლები ერთგული ჩვენი საქმისა, აგერ ექვსი წლის განმავლობაში ყოველთვის უთმობდა კრების საერთო თხოვნას და ერთხმად ირჩევდენ მას ამ თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში დაუმრეტელი ღვაწლი მარტენისა სათანადო მსურველ სიტყვებით აღნიშნეს ჩვენმა წარმომადგენელმა შავიშვილმა და ერთ ჩვენ დიდ მეგობართანგანა, გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ყენევის რესპუბლიკის და კანტონის განათლების მინისტრმა ალბერტ მალშმა. შემდეგ, თავმჯდომარის თხოვნით მოხსენება გაუკეთა კრებას შავიშვილმა საზოგადოთ კავკასიის ერების და კერძოთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე, რაც კრებამ დიდის სიმპატიით მოისმინა.

დაბოლოს ასოციამ ერთხმად აირჩია საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარეთ ალბერტ მალში, რაზედაც ეს უკანასკნელი მიუხედავად ბევრ სხვა თანამდებობისა, რომელიც დიდს დროს ართმევს, სიამოვნებით დათანხმდა: ვიცე-თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ ყენევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, უფლები

ბის ნიქიერი პროფესორი ყორყ ვერნერი და ცნობილი სოციალისტი პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი ედგარ მილო.

კრებამ, ახლად არჩეულ თავმჯდომარის წინადადებით, საპარტიო თავმჯდომარეთ აირჩია ყან მარტენი და სთხოვა მას დარჩენილიყო ბიუროს წევრათ, რათა მისი გამოცდილებით ახალი კომიტეტისათვის კვლავ სამსახური გაეწია. მარტენმა თანხმობით უპასუხა, რითაც კრებას ძლიერ ასიამოვნა და ოვაციით დაჯილდოვებულ იქნა.

რედაქცია მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ჩვენ დაულალავ მეგობარს ბ. ყან მარტენს უარი უთქვამს საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარეობაზე. ჩვენ დიდათ ვაფასებთ შვეიცარიის დემოკრატიულ ტრადიციებს, მაგრამ ნებას ვაძლევთ თავს და გავახსენებთ ბ. ყან მარტენს, რომ მისი თავმჯდომარეობაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ქართული—ტრადიცია იყო! ვნუგეზობთ იმით, რომ ის საპარტიო თავმჯდომარედ მაინც დარჩა და, მამასადამე, თავის პირში კომიტეტს მზრუნველობას არ მოაკლებს მომავალშიც.

ჩვენ გულწრფელ სიხარულს გამოვსთქვამთ იმავე დროს, რომ თავმჯდომარეობა ჩვენს მეორე უანგარო მეგობარს პროფესორს და ყენევის კანტონის განათლების მინისტრს ბ. ალბერტ მალშს უკისრნია. ის კომიტეტის დაარსებიდან მისი წევრი იყო და ფრიად აინტერესებდა საქართველოს ბედი.

ჩვენგან ასეთივე მსურველ მისალმება პროფესორებს ბ.ბ. ყორყ ვერნერს და ედგარ მილოს, თავმჯდომარის ამხანაგებად არჩეულთ; ესენიც წევრებია კომიტეტის, ხლო ბ. მილოს შესანიშნავ მოხსენებას საქართველოზე, ცალკე წიგნაკად გამოცემულს, ჩვენი მკითხველი უკვე იცნობს.

კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)

9.

კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ მოკლედ ვილაპარაკეთ. წარსულს ზედ ერთვის, უკანასკნელი ხანის ისტორია, რომელიც ერთჯერ კიდევ აშკარავენს კავკასიის მნიშვნელობასა და მისი ბედის უკუღმართობას.

კავკასიას, საგარეო პოლიტიკის მოვლენათა თვალსაზრისით და ისტორიულ მოძრაობათა და ხალხთა შემოსევათა გრძელი ისტორიით, აქვს ერთი თავგადასავალი, ერთი ისტორია.

ყველა იმპერია ცდილობდა ხელში ჩაეგდო მიწაყალი შავი ზღვიდან კასპიამდე და უზრუნველყო თავის ბატონობაში ეს სტრატეგიული და სავაჭრო პუნქტი. ამ მხრივ კავკასია იყო და არის გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი.

როდესაც რუსეთმა მეთვრამეტე საუკუნის დასა-

სრულს დარიალის გზით ფეხი შემოდგა ამ ქვეყანაში, მან ტფილისი გაიხადა თავის პლაცდარმად, თავისი გავართობების წევროდ. იგი ბუნებრივ სამხედრო პუნქტს დაეყრდნო და აქედან დაიწყო, როგორც დანარჩენი მხარეების, ისე მთის დაპყრობა.

რუსეთმა იარღით გაერთიანა კავკასია, და კავკასიამ გაიმეორა ერთჯერ კიდევ თავისი ისტორიული როლი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. გაერთიანებული და მთლიანი კავკასია, რუსეთის ბატონობაში გადაიქცა იმ დიდ სამხედრო ბაზად, საიდანაც ოსმალეთი და სპარსეთი, და მათი მფარველნი, მუჰამდ მუქარის წინ იდგენ.

მაგრამ კავკასიის მნიშვნელობა უფრო გაიზარდა და განმტკიცდა, როდესაც რკინამ გასჭრა წიფის გვირაბი და რკინის ზეზამ გააერთიანა კასპიის და შავი ზღვა. ეს გაერთიანება კავკასიის ცხოვრებაში და

ისტორიაში ბედის გადაწყვეტი მნიშვნელობისა იყო როგორც სამხედრო და ეკონომიური, აგრეთვე პოლიტიკურის თვალსაზრისითაც.

ამას თანდაერთი ნავთის უდიდესი მნიშვნელობა, რომელმაც უკანასკნელ ეპოქაში გადაქრელი როლი ითამაშა.

10.

დიდი ომის და რუსეთის რევოლუციის დროს კავკასიის გარშემო ამოძრავდნ მსოფლიო საიმპერიო ძალები. ახალ პირობებში, ახალ ვითარებაში განმეორდა ის ისტორიული ბრძოლა, რომელიც კავკასიის გრძელი თავგადასავალის გზაზე კავკასიის ბედის გადაწყვეტი იყო: კავკასია ერთნელ კიდევ შეიქნა გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზით.

რამდენადაც საბუთები გამოქვეყნებულია, ამის მიხედვით ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ უკანასკნელი დროის ისტორია, აღსავე დრამატინშითა და ტრადედიით. კავკასიაში და კავკასიის გარშემო მომხდარი მოვლენანი ერთჯერ კიდევ ზედმეტად ამტიკებენ: კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, კავკასიის ერთი ისტორიის გზასა და გეზს, კავკასიის მთლიანი პოლიტიკის აუცილებლობას, საკავკასიო პოლიტიკის გარდუვალ საჭიროებას.

და თუ პოლიტიკა არის «პრაკტიკული, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ იდეალთა განსახორციელებლათ მომართული მოქმედება», — აქედან ერთად ერთი დასკვნაა: ამა მოქმედებას უნდა ჰქონდეს სრულიად გარკვეული მიზანი.

ჩვენ დავინახეთ, რომ კავკასიის წარსული, კავკასიის გეოპოლიტიკა, კავკასიის ხალხთა ინტერესები მოითხოვდა და მოითხოვს საკავკასიო პოლიტიკის არსებობას დამოქმედებასკმის განსახორციელებლად.

და თუ პროგრამა არის კონკრეტულ, გარკვეულ პოლიტიკურ მოთხოვნილებათა დავთარი, ეს მოთხოვნილებაც კავკასიის მომავალი ვითარების შესახებ სახეებით გამოკვლეული და გამორკვეული უნდა ყოფილიყო და თუ არ იყო, უნდა იქნეს.

ეს ისტორიული გაკვეთილი ნასწავალი და შევნებული არა ჰქონდათ დღევანდელ კავკასიის ერებს, სამუშაოდ, კავკასიის დამოუკიდებლობის მიჯნაზე მათ ვერ მოახერხეს გამოენახათ საერთო ენა. გეგოთ საკავკასიო პოლიტიკის აუცილებლობა და საჭიროება.

კავკასიის მთლიანობის პირველი ცდა (ამიერ კავკასიის სეიმი) გარეშე ძალთა მიზიდვით და შინაგანი სისუსტით, გაურკვევლობითა და საერთო პოლიტიკის გაუგებრობით, უშედეგო აღმოჩნდა. კავკასია დანაწილდა ცალცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, შემდეგმა ცდამ, საქართველოს მხრიდან რომ გამომდინარეობდა, და კავკასიის ხალხთა კავშირისაკენ მიისწრაფოდა, — ძლიერ მცირე შედეგი მოიტანა. და ბოლოს სანრემოში მომხდარი ცდაც, კავკასიის ხალხთა შერიგების შესახებ, უნიადაგო აღმოჩნდა.

ამაში იყო კავკასიის ერების დამარცხების დასაწყისი, დასაწყისი, რომელიც სულ მცირე ხნის განმავლობაში ტრადიკულად დასრულდა.

ამ ტრადედიის მოქმედებანი დღესაც გრძელდებიან.

11.

შორს წავიყვანდა იმ მიზეზთა ძებნა, რომელმაც გამოიწვია კავკასიელ ერთა დაქსაქსვა და დანაწილება. მაშინ როცა ობიექტიურად თითქმის ყველა პირობა არსებობდა, რომელსაც უნდა გამოეწვია კავკასიის მთლიანობა, სუბიექტიურად ამა მთლიანობის პირობა მზად არ აღმოჩნდა. ესე იგი თვით ერები, როგორც უკვე მოგახსენეთ, არ იყვნენ ამ დიდ საკითხში გარკვეულნი და მისთვის მომზადებულნი.

კავკასიის მთლიანობის (თუ როგორი პოლიტიკური ფორმით იქნება ეს მთლიანობა გამომხატული, სხვა საკითხია) პოლიტიკის საკითხი წამოიჭრა კიდევ მას შემდეგ, რაც ეს ქვეყანა ისევ რუსეთმა დაიკავა.

ემიგრაციაში დაიდო ხელშეკრულება კავკასიის ხალხთა წარმომადგენლების მიერ, ხელშეკრულება, რომელსაც მიზნადა აქვს კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობა. ლაპარაკობენ და სწერენ კავკასიის ფედერაციაზე, კონფედერაციაზე. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ამ საკითხთან დაკავშირებულია მრავალი რთული და მძიმე საკითხი და დრო არის მას სათანადო ყურადღება მიექცეს. რას ეძახიან თვით კავკასიას, როგორი უნდა იყოს კავკასიის პოლიტიკური სახე; რა ნიადაგზე და რა პირობებში უნდა მოხდეს კავკასიის გამართლება, და ასეთი სხვა საკითხი სერიოზული შესწავლის საკითხად უნდა დაისვას. და თვით იდეას, რომ კავკასია მთლიანი უნდა იყოს, სჭირდება კიდევ დიდი ქადაგება, რათა ეს აზრი ძვალბრილში გაუჯდეს ყველას მათ, ვინც კავკასიის თავისუფლებით, კავკასიის ხალხთა და კერძოთ ქართველი ერის ბედით არის დაინტერესებული.

შევეცადეთ:

დავემტკიცებია, რომ საქართველოს ბედი მჭიდროთაა კავკასიის ბედთან გადაჯაჭვული; რომ საქართველოს თავისუფლება კავკასიის თავისუფლებასთანაა დაკავშირებული, რომ ქართველი ხალხის ამ თავისუფლებისათვის ბრძოლა ვადაბმულია კავკასიის ერების თავისუფლებისათვის ბრძოლასთან; რომ საქართველო, განმარტოვებულად, ცალკე, თუ დანარჩენ კავკასიაში რუსეთის სიშტი იქნება, ვერ აიტანს მასთან ომს, თუ ომი სამუდამოთ მოსპობილი არ იქნა, (აქედან გამომდინარეობს ომის საწინააღმდეგო პოლიტიკა), რომ კავკასია ისტორიულად, გეოგრაფიულად და ეკონომიურად, და თუ გნებავთ, კულტურულადაც, ერთობას წარმოადგენს; რომ თვითვეული აქაური ერის ინტერესები კავკასიის ინტერესებია; და ბოლოს, რომ კავკასიას, როგორც მთლიან პოლიტიკურსა და ეკონომიურს არსებას მეტი წონა და მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით ჩვენს თვალში, ისე უცხოეთის ანგარიშშიც.

ყველაფერი ეს კარგათ ესმოდათ იმ პარებს, რომელთაც 1874 წელს, ქენევაში მოახდინეს კონგრესი, სადაც ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის პრინციპი იქნა აღიარებული და ფედერაციის პროგრამა წამოყენებული იქნა. ეს პრინციპიც და პროგრამაც





შემდეგმა ისტორიულმა მსვლელობამ უშედეგოდ გადაყლაპა. თვით ავტორებსაც დააიწყდათ იგი. მაგრამ დღეს ცხოვრება და ბრძოლის ლოლიკა მას პრაქტიკულად აყენებს.

კავკასიის ერების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხი ხშირად იდგა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე. მაგალითად: 1902 წელს სამსონ ფირცხალავა გან. «ცნობის ფურცელ»-ში შემდეგსა სწერდა:

«... ჩვენ ყოველთვის გვანტერესებდა კავკასიელ ერების ერთობა; ბევრჯერ გვიფიქრია, ამაზე და ვერასოდეს ვერ წარმოგვიდგენია მომავალი, თუ არა ამავგარ ერთობით. გეოგრაფიულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ პირობებს მხოლოდ ამ ერთობისაკენ მიჰყავს კავკასია. ამის წინააღმდეგობა იქნებოდა ერის დაღუპვა. ვისაც ჰგონია, რომ შეიძლება საქართველოს კეთილდღეობა სხვა კავკასიელ ერთა გამო-

რებით, ცალკე, მას არ ესმის დღევანდელი ვითარება... ეს არის ჩვენი სახელმძღვანელო პრინციპი, რომელსაც არასოდეს არ ვუღალატებთ... მაგრამ ერთობის აუცილებელი პირობაა ერთმანეთის უფლებათა აღიარება»...

ირაკლი მეორეს ეწვია ინდოეთიდან ჩამოსული, სომხეთისათვის მებრძოლი სომეხი, მეფემ ინება მისი ხელის ჩამორთმევა. სომხეთის მებრძოლმა პატარა კახს ხელი მოუქირა და უთხრა: თუ ასე ვიქნებით, გავიმარჯვებთ.

დღეს კი სამმა ერმა, რომელნიც კავკასიას წარმოადგენენ, ხელი უნდა ჩამოართვან ერთმანეთს, არა ტაქტიკურის მოსაზრებით, არა დროებით, არამედ ერთობის სრულ აუცილებლობისა და გარკვეულ მიზნადაღებულ შეგნების საპირობებით.

და საბოლოო გამარჯვება კავკასიის იქნება.

ვიკ. ნიჭაძე.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ც ი ზ რ ე ბ ი თ

(გდა ჩვენი ქვეყნის გზავნულ მეურნეობის მიმდინარეობისა)

(გაგრძელება)

სანტერესო იყო გავეგო რამდენი მოდის ანუ ათას კულტურულ ნიადაგზედ საქონლის ესა თუ ის ჯიში. ამ უამად ვერ ვაკეთებთ ამ გამოანგარიშებას, რადგან არა გვაქვს რწმუნება, რომ 1928 წლის აქ მოყვანილი ციფრები სწორია.

დ. აფხაზმა გამოანგარიშა ანუ 100 მცხოვრებზედ (1917 წლის ოფიც. ცნობების მიხედვით) და გვიჩვენებს, რომ ცხენების სიმრავლით (შედარებით) საქართველო უსწრობდა მაშინ: ბელგიას, იტალიას, შვეიცარიას. მსხვილფეხი საქონლის რაოდენობით (შედარებით) საქართველოს მეორე ალაგი ეკავა მთელს ევროპაში. ცხვრის რაოდენობითაც საქართველოს მხოლოდ ბულგარეთი უსწრობდა. რაც შეეხება ღორებს—მათი შედარებითი რაოდენობა საქართველოში მეტია, ვიდრე ევროპ. რუსეთში, საფრანგეთსა, იტალიაში და ბულგარეთშია.

ამ ციფრებს, სრულის სისწორისთვის, შესწორებაც რომ სჭიროდეს, ყოველ შემთხვევაში სარწმუნოა, რომ პირუტყვ საქონლის რაოდენობის მხრივ საქართველოს საპატიო ალაგი უკავია.

დიალ, რაოდენობით კი საპატიო ალაგას ვართ, მაგრამ საქონლის რატიონალად მოვლა-მოშენების და გამოყენების მხრივ კი ერთობ ჩამორჩენილნი ვართ...

ჩვენში სულ პირველად იქცევს ყურადღებას ძროხების რაოდენობის სიმცირე. როგორც სტატკრებულთა გვიჩვენებს, არიან ჩვენში ისეთი მაზრები, სადაც მეურნეობათა საერთო რიცხვიდან მთლად უძროხონი არიან (პროცენტებით): 81,0 პროც. თელავის მაზრაში; 47,4 ტფილისის; 34,3 გორის მაზრაში; 46 ქუთაისის; 37,4 სენაკის მაზრაში და სხვა. საშუალოთ, საქართველოს მეურნეობათა 36,2 პროც.—უძროხონი არიან.

ეს მოვლენა ბევრნაირად არის ჩამაფიქრებელი. სულ პირველად იგი მაჩვენებელია მოსახლეობის და

მეტადრე ბავშვების ცუდი კვებისა, რაც უშუალოდ მოქმედობს ერის ჯანმრთელობასა და ზრდაზედ! მეორეთ, იგი მაჩვენებელია ჩვენებურ მერძეობის სისუსტისა. რაიც უდიდეს ეკონომიურ ზარალს აყენებს ჩვენს ერს.

აგრონომი მ. ციმაკურიძე ასეთ ცნობებს იძლევა «ომამდე და ომის შემდეგ რძის მომცემი საქონლის რაოდენობაზედ საქართველოში:

წ.წ.	ძროხა	მეწველი კამეჩი	მეწვ. ცხვარი
1913	428.000	57.000	800.000
1925	337.000	48.000	430.000
1928	398.000	51.000	1.000.000

რძის მეურნეობას განსაკუთრებით მნიშვნელობა აქვს ბორჩალოს, ახალქალაქის და წალკა-მანგლისის რაიონებში. იქ თითქმის მთელი ბიუჯეტი მოსახლეობისა მესაქონლეობაზეა დამყარებული.»


ომამდე ამ რაიონებიდან საქართველოს საზღვრების გარეთ იგზავნებოდა ყოველწლივ 30.000 ფუთამდე შვეიცარული ყველი.

იმავე ავტორის მოწმობით «მინიმუმი ღირებულება რძის მომცემ საქონლის პროდუქციისა 28 მილიონ მანეთს უდრის. რაც შეადგენს 10 პროცენტს მთელი საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებისა».

ქ. ტფილისის წლიურად სჭირდება, დაახლოებით:

რძე	600.000 ფ. × 4 მ. =	2.400.000 მან.
თუშური ყველი	30.000 ფ. ,, 20 მ. ,,	600.000 მან.
ყველი შვეიცარ.	1.500 ფ. ,, 26 მ. ,,	39.000 მან.
კარაქი	30.000 ფ. ,, 40 მ. ,,	1.200.000 მან.
არაქანი	7.000 ფ. ,, 20 მ. ,,	140.000 მან.
ხაჭო	6.000 ფ. ,, 6 მ. ,,	36.000 მან.
მაწონი	35.000 ფ. ,, 6 მ. ,,	210.000 მან.

ყველა დანარჩენ საქართველოს ქალაქებს სჭირდებათ 1.070.000 მანეთის რძის პროდუქტები.



საზღვარგარეთ გადის შვეიცარული ყველი 10.000 ფუტი=300.000 მანეთით ღირებული. ამ რიგად სრული ღირებულება ფულად ქცეულ, შინ თუ გარეთ გაყიდულ რძის პროდუქტების შეადგენს 6 მილიონ მანეთამდე.

თავისთავად ცხადია, რომ ამ პროდუქტების მოთხოვნილება ჯერ-ჯერობით ვერ არის დაკმაყოფილებული. მაგ. რუსეთიდან ყოველწლივ შემოდის საქართველოში 20.000 ფ. კარაქი. ეს მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანას შეეძლო არამც თუ დაეკმაყოფილებინა საკუთარი მოთხოვნილება, არამედ რძის პროდუქტებს მძლავრი ექსპორტერი გამხდარიყო, შვეიცარიის და პოლანდიის მსგავსათ.

ჩვენში ხშირად გაისმის ჩივილი, რომ საძოვრების სიციფროე და ზოგან მათი სრული უქონლობა არის მიზეზი, რომ ჩვენში ასე ნაკლებათაა ძროხები და საზოგადოთ მუშა საქონელი.

იქ, სადაც საქონლის მოშენება რაციონალად არის დაყენებული, ამგვარ ჩივილს აღარა აქვს ადგილი. ფართო საძოვრებს ამ უმად ალაოა აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან თანამედროვე მეთოდების შემოღებით მესაქონლეობაში, ღონისძიება ეძლევა სოფლის მეურნეს სულ მცირე საძოვრიან ადგილებში გამოზარდოს მეტი საქონელი, რიცხვით და მასთან უფრო მომცემიანი.

ბევრს ჰგონია, ამბობს ერთი ინგლისელი ავტორი, რომ ამერიკის განთქმული მესაქონლეობა სწორედ დიდს და ვრცელ საძოვარ-საბალაოებზედ გაშენდა. ეს ასე არ ყოფილა: უდიდესი ნაწილი ამერიკულ პირუტყვ-საქონლისა ბაკებსა და თავლებშია აღზდილი, სადაც მათი კვება და აღზრდა რაციონალ მეთოდებით ხდება.

გამოჩენილი მესაქონლეობა პოლანდიისა, დანიის, შვეიცარიის—აშკარად ამტკიცებს ამ დებულებების უკმარებებს.

იმის საჩვენებლად, თუ როგორ მოქმედობს რაციონალი მესაქონლეობა—მოვიყვანთ პროფ. ბრუკუსის წიგნიდან (ევონ. სელსკ. ხოზ.) შემდეგ მაგალითს: «მაშინ როდესაც კულტურულ ზედ-მოქმედებას მოკლებული ყირღმიის ძროხა მთელი წლის განმავლობაში იძლევა მხოლოდ 40 ვედრო რძესა და ამასთანავე მხოლოდ ექვს თევს იწველის, პოლანდიის ძროხა იწველება მთელი წლის განმავლობაში, თიქმის, შეუჩერებლად და წელიწადში 280 ვედრო რძეს იძლევა».

მეცნიერულის წესით საქონლის და მეტადრე ძროხების მოვლა-მოშენების თანამედროვე ტენიკა არც ისეთი ადვილი საქმეა, იგი უეჭველად მოითხოვს მკოდნე სპეციალისტების ხელმძღვანელობას. ამერიკულ ფერმერთა მეურნეობის საუცხოვო მკოდნე პროფ. მარკოვი, თავის დიდად საინტერესო წიგნში «კაკ ამერ. ფერმ. ორგანიზოვ. სეოია ხოზ.», ასე მოგვითხრობს მესაქონლეობის სირთულის გრადაციებზედ: «ყველაზედ ნაკლები შრომა მეცხვარეობას უნდება. შემდეგ—მოზარდ ხბორების საძოვრებზედ გამოკვება; კვება-მოვლა საქლავ საქონლის უფრო ძნელია; უფრო კიდევ მეტ შრომას თხოულობს ღორის

ჯოგი, მაგრამ ყველაზედ მეტი შრომა და მოვლა ძროხების ნახირს სჭირდება».

ალბად ეს სიძნელეა იმის მიზეზი, რომ ჩვენებური ძროხა დღეში საშუალოდ 4,2 ბოთლ რძეს იძლევა (ყველაზედ მეტს ბორჩალოს ძროხა იწველის; გორის და ახალქალაქის მახრებში მხოლოდ 2 ბოთლს).

ავრონომ მ. ციმაკურიძის სიტყვით—«მთაში ყველაზედ უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს გლეხურ მეურნეობისათვის მთიელ საქონელს. ამ ჯიშის ძროხა პატარაა, იწონის ცოცხლად 12 ფუტს, იწველის წლიურად 50-დან 80 ფუტამდე. ერთი მეორეზედ საქართველოს ძროხები იძლევა წლიურად 90 ფუტს რძეს. საზღვარგარეთ კი თითო ძროხა იძლევა 300-400 ფუტ რძეს. საუკეთესო ეგზემპლიარები 600-700 ფუტს და მეტსაც. აქედან უფრო ნათლად სჩანს, თუ როგორ ჩამორჩენილია ჩვენში მესაქონლეობის განვითარების საქმე».

დ. აფხაზის წიგნში ასეთ ანგარიშსა ვხედავთ—(ომის და რეეოლ. წინ მესაქონლეობის შესახებ):

მესაქონ. პროდუქტი	რაოდნობა	აქედან ექსპორტი
ყველი (ძროხის)	50.000 ფ.	40.000 ფ.
ყველი (ცხვრის)	80.000 ფ.	8.000 ფ.
ერბო-კარაქი	200.000 ფ.	
მატყლი	200.000 ფ.	110.000 (მოსკ.)
ტყავი	180.000 ცალი.	
ღორის ჯაგარი	1.000 ფ.	

ამ ჩამოთვლილ პროდუქტის საჯარო ღირებულება უდრიდა 23.770.000 მანეთს. ამას უნდა მიემატოს ექსპორტის 5 მილიონი მანეთი, რომელსაც ყოველწლივ იძლეოდა მეფრინელობა (ქათამი, ბუმბული, კვერცხი და სხ.). აწინდელი შეფასება მეფრინელობის პროდუქტის ზემოთ გვეყონდა უკვე მოყვანილი.

დაბოლოს, ერთი პატარა ნიმუში ბოლშევიკების დიდებული საქმიანობის საქართველოში.

ცნობილია, რომ საქართველოდან კარგა ბლომა კვერცხი იგზავნებოდა საზღვარგარეთ. ერთ ჰამბურგელ დიდს სავაჭრო ფირმას თავისი მუდმივი წარმომადგენელიც კი ყავდა ჩვენში. საქსპორტო კვერცხი იტვირთებოდა გემებზედ და საქართველოს პორტებიდან გადიოდა ევროპაში.

ამ ბუნებრივი გზის შეცვლა სცადეს ბოლშევიკებმა; შარშან გაზ. «კომუნისტში» ამოვიკითხე დიდის ამბით გამოცხადებული მათი ასეთი საქმიანობა: ევროპაში გასაგზავნი კვერცხით დატვირთვს რკინის გზის ვაგონი საქართველოში; უპატრონო მკვდარით ვითარ-ჩამოუტარეს ყველა რუსეთის ქალაქებს, სადგურებს, მიიღეს ლენინგრადში, იქ დატვირთეს გემზედ და სწორეთ იქიდან უკრეს თავი დასავლეთ ევროპისაკენ.

ასეთი მათი საქმიანობა ახალი ამბავი არ არის: მალე ჩვენ კიდევ გავცნობით ამის მსგავს კუთროხს, როდესაც საქართველოს ტყეებზედ გვექნება საუბარი.



შ ა რ ლ ა ტ ნ ე ბ ი

ქვემოდ ვბეჭდავთ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტს—საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის დადგენილებას, რომელსაც არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ «ისტორიული დოკუმენტის» სახელი. ბოლშევიკებისთვის დიდი ხანია მოკვდა ყოველი საზომი სინამდვილის და სიმართლის. გონება და ზნეობა დაკარგულები არ ხედავენ ან არ უნდათ შეხედონ, რომ ქვეყანას აქცევენ და სპობენ რაიმე განვითარების სულ მინიმალურ შესაძლებლობასაც კი. მეურნეობის და წარმოების შექმნის ნაცვლად ყველგან უკიდურესი სიმშოილობა და გაუპირვება გაამეფეს, ცოდნის ალაგას—უვიცობა, ზნეობის მაგიერ—სრული მორალური გათახსირება. ბოლშევიკებმა სამართლიანად და საკმაოდ დაიმსახურეს გავარდნილი გიყების და აღვირაშვებული ავანაკების სახელი. მათი მოქმედება უკვე აღარავის აკვირვებს და მათგან ყველაფერი მოსალოდნელი გახდა.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია მაინც, «კომუნისტის» 18 სექტ. ნომერში დაბეჭდილმა ზემოთ დასახელებულმა დადგენილებამ არ გააოცოს და არ აღაშფოთოს ქართველი მკითხველი. საფიქრებელი იყო, რომ ბოლშევიკურ გაკატრებას მცირედენი საზნადობრივი კიდევ ჰქონდა. მაგრამ ძალზე მოვტყუვდით. ბოლშევიკებმა მოსპეს საქართველოს უნივერსიტეტი—ქართული მეცნიერების და კულტურის განახლებული აკვანი—და მის ადგილზე დააწესეს თავისებური «სამეცნიერო აკადემია». და აი ცენტ. აღმას. კომიტეტი ადგენს «აკადემიის» პირველი შემადგენლობის სიას—40 წევრს. მერე ვინაა ეს ქართველი «აკადემიკოსები», ქართველი «უკვდავები»? გარდა მცირე გამონაკლისისა, სულ ვივინდარები, უფიცი პირები. მეცნიერებას დაშორებულნი, რომელთაც თითო ოროლა საგანეთო წერილი თუ დაუჯღაბნაით, ან ეგებ არას დროსაც არ აუღიათ კალამი ხელში და მხოლოდ თავის პროვოკატორობით და ჩეკის ერთგულობით დაუმსახურებიათ აღმასრულებელი კომიტეტის ყურადღება.

წარმოუდგენელია მეტი ზნეობრივი დაცემა და ცინიკობა! კომუნისტები თავის დეკრეტებით უხვად არიგებდნენ თავის სამფლობელოში ყოველგვარ «ქონებრივ სიმდიდრეს» (თუმცა ამან არავინ გააძლო. პირიქით ყველა უფრო დაიმო და გაძვალტყავდა!) და ყოველ ჯგერდინზე პლაკატები გააკრეს: ამ ქვეყნად სამოთხე მოვაწყვეთო. წათამამებულთ ახლა ჰკუთის და სიბრძნის დარიგება დაიწყეს თავის დადგენილებებით. თავისი თავი დააჯერეს, რომ ეკონომიურ სფეროში ყველაფერს ჰქმნიან. მაშ რატომ ვერ შექმნით სამეცნიერო დარგში? და გამოსცეს ბრძანება «აკადემიკოსების» და მეცნიერების შექმნის საქართველო ეკონომიურად აყვავდა ბოლშევიკების წყალობით. აკლდა მხოლოდ «მეცნიერები», მაგრამ ცხაკაიამ და თოდრიამ დასწერეს «პრიკაზი» და ქვეყანა ერთბაშად აივსო «მეცნიერებით». ჭეშმარიტად გრანდიოზული, გაუგონარი «აღმშენებლობა» და «მიღწევანია!»

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოფ ფრიად, როგორც იტყოდენ ძველად.

ერთი რამაა საკითხავი: დადგენილება «აკადემიკოსთა» რიცხვში არ ასახელებს ისეთ პირებს, როგორცაა შ. ელიავა (კავკასიის ენლანდელი «ოპრუჟნი ნახალნიკი») ან მ. ცხაკაია (ცენტრ. აღმ. კომიტეტის საყვირი)? განა ესენი სხვებზე ნაკლებ სულელები არიან? ან ნაკლები წილი უღვეთ თავის ქვეყნის დაქცევაში?

არ შეგვიძლია ჩვენი მსურვალე თანაგრძნობა არ გამოუტყხადოთ იმ რამდენსამე ქართველ ნამდვილ მეცნიერს, რომელნიც ბოლშევიკებმა სათვალმაქცოთ მოაქციეს თავის სიაში და რომელთაც უთუოდ იძულებით მოახვიეს თავს ბოლშევიკური «აკადემიკოსობა»...

დადგენილება სრ. საქ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტისა.

დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმისა და წევრების პირველი შედგენილობა შემდეგი სახით:

- პრეზიდიუმის შემადგენლობა: მარი ნ. ი.—პრეზიდენტი, ორაგველიძე კ. შ.—ვიცე-პრეზიდენტი, ჯანელიძე ა. ი.—ვიცეპრეზიდენტი, სულაქველიძე კ. ა.—მუდმივი მდივანი, პისარევესკი გ. ვ.—პრეზიდიუმის წევრი.

წევრთა შედგენილობა.

ენათმეცნიერების სექცია: მარი ნიკოლოზ იაკობის ძე.

ისტორიის სექცია: მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ორახელაშვილი მამია დიმიტრის ძე, ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე, ქლენტი თენგიზ გიგოს ძე.

ეკონომიურ მეცნიერებათა სექცია: ორაგველიძე კარლო შევარდნის ძე, დოლიძე დავით გრიგოლის ძე, ავამალიანი რაფიტი, მგალობლიშვილი გერმანე ანდრეას ძე, პირუმოვი სიმონ გრიგოლის ძე, გოგიჩაიშვილი ფილიპე გაბრიელის ძე, დევდარიანი გაიონ, ახუნდოვი ლიზა, ტიმოფეევი სტეფანე ნიკოლოზის ძე.

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სექცია: ტოროშვილიძე მალაქია გიორგის ძე, ვაწყამაძე ივანე, მეგრელიძე კიტა, შარია პეტრე ათანასის ძე, ბოლოტნიკოვი ალექსი ალექსანდრეს ძე, ნუცუბიძე შალვა ისაკის ძე, გორდელაძე კონსტანტინე, უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე.

მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ისტორიის სექცია: კეკელიძე კორნელი სამსონის ძე, დუდუჩავა ალექსანდრე იოსების ძე.

მათემატიკის დისციპლინის სექცია: მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, ნიკოლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე.

გიოგრაფიის სექცია: ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე.

ფიზიკისა და გეოფიზიკის სექცია: სულაქველიძე კონსტანტინე ამბაკოს ძე.

გეოლოგიისა და მინეროლოგიის სექცია: ჯანელიძე ივანე ალექსანდრეს ძე, თვალჭრელიძე ალექსანდრე ანტონის ძე.



შ ა რ ლ ა ტ ნ ე ბ ი

ქვემოდ ვბეჭდავთ ფრიად მნიშვნელოვან დოკუმენტს—საქართველოს ცენტრ. აღმ. კომიტეტის დადგენილებას, რომელსაც არ შეგვიძლია არ ვუწოდოთ «ისტორიული დოკუმენტის» სახელი. ბოლშევიკებისთვის დიდი ხანია მოკვდა ყოველი საზომი სინამდვილის და სიმართლის. გონება და ზნეობა დაკარგულები არ ხედავენ ან არ უნდათ შეხედონ, რომ ქვეყანას აქცევენ და სპობენ რაიმე განვითარების სულ მინიმალურ შესაძლებლობასაც კი. მეურნეობის და წარმოების შექმნის ნაცვლად ყველგან უკიდურესი სიმშლიობა და გაჭირვება გაამეფეს. ცოდნის ალავას—უფიცობა, ზნეობის მაგიერ—სრული მორალური გათახსირება. ბოლშევიკებმა სამართლიანად და საკმაოდ დაიმსახურეს გავარდნილი გიყების და აღვირაშვებული ავანაკების სახელი. მათი მოქმედება უკვე აღარავის აკვირვებს და მათგან ყველაფერი მოსალოდნელი გახდა.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია მაინც. «კომუნისტის» 18 სექტ. ნომერში დაბეჭდილმა ზემოთ დასახელებულმა დადგენილებამ არ გააოცოს და არ აღაშფოთოს ქართველი მკითხველი. საფიქრებელი იყო, რომ ბოლშევიკურ გაკოტრებას მცირეოდენი საზღვარი კიდევ ჰქონდა. მაგრამ ძალზე მოგტყუვდით. ბოლშევიკებმა მოსპეს საქართველოს უნივერსიტეტი—ქართული მეცნიერების და კულტურის განახლებული აკვანი—და მის ადგილზე დააწესეს თავისებური «სამეცნიერო აკადემია». და აი ცენტ. აღმას. კომიტეტი ადგენს «აკადემიის» პირველი შემადგენლობის სიას—40 წევრს. მერე ვინაა ეს ქართველი «აკადემიკოსები», ქართველი «უკვდავები»? გარდა მცირე გამოჩაყლისა, სულ ვიგინდარები, უფიცი პირები, მეცნიერებას დაშორებულნი, რომელთაც თითო ორთა საგანთა წერილი თუ დაუჯღაბნიათ, ან ეგებ არას დროსაც არ აულიათ კალამი ხელში და მხოლოდ თავის პროვოკატორობით და ჩეკის ერთგულობით დაუმსახურებიათ აღმასრულებელი კომიტეტის ყურადღება.

წარმოუდგენელია მეტი ზნეობრივი დაცემა და ცინიკობა! კომუნისტები თავის დეკრეტებით უხვად არიგებდენ თავის სამფლობელოში ყოველგვარ «ქონებრივ სიმდიდრეს» (თუშუცა ამან არავინ გააძლ. პირიქით ყველა უფრო დაიმშა და გაძვალტყავდა!) და ყოველ ჯვარდინზე პლაკატები გააკრეს: ამ ქვეყნად სამოთხე მოვაწყვეთო. წათამამებულთ ახლა ჯკუის და სიბრძნის დარჩება დაიწყეს თავის დადგენილებებით. თავისი თავი დააჯერეს, რომ ეკონომიურ სფეროში ყველაფერს ჰქმნიან. მაშ რატომ ვერ შეექმნით სამეცნიერო დარგშიო? და გამოსცეს ბრძანება «აკადემიკოსების» და მეცნიერების» შექმნის. საქართველო ეკონომიურად აყვავდა ბოლშევიკების წყალობით. აკლდა მხოლოდ «მეცნიერები», მაგრამ ცხაკაიამ და თოდრიამ დასწერეს «პრიკაზი» და ქვეყანა ერთბაშად აივსო «მეცნიერებით». ჭეშმარიტად გრანდიოზული, გაუგონარი «აღმშენებლობა» და «მიღწევანია!»

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს ფრიად, როგორც იტყოდენ ძველად.

ერთი რამაა საკითხავი: დადგენილება «აკადემიკოსთა» რიცხვში არ ასახელებს ისეთ პირებს, როგორიცაა შ. ელიავა (კავკასიის ეხლანდელი «ოკრუჟნი ნაჩალნიკი») ან მ. ცხაკაია (ცენტრ. აღმ. კომიტეტის საყვირი)? ვანა ესენი სხვებზე ნაკლებ სულელები არიან? ან ნაკლები წილი უდევთ თავის ქვეყნის დაქცევაში?

არ შეგვიძლია ჩვენი მხურვალე თანაგრძნობა არ გამოუცხადოთ იმ რამდენსამე ქართველ ნამდვილ მეცნიერს, რომელნიც ბოლშევიკებმა სათვალმაქცით მოაქციეს თავის სიამო და რომელთაც უთუოდ იმულებით მოახვიეს თავს ბოლშევიკური «აკადემიკოსობა»...

დადგენილება ზრ. საქ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტისა.

დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმისა და წევრების პირველი შედგენილება შემდეგი სახით:

პრეზიდიუმის შემადგენლობა: მარი ნ. ი.—პრეზიდენტი, ორაგველიძე კ. შ.—ვიცე-პრეზიდენტი, ჯანელიძე ა. ი.—ვიცე-პრეზიდენტი, სულაქველიძე კ. ა.—მუდმივი მდივანი, პისარჟევსკი გ. ვ.—პრეზიდიუმის წევრი.

წევრთა შედგენილობა.

ენათმეცნიერების სექცია: მარი ნიკოლოზ იაკობის ძე.

ისტორიის სექცია: მახარაძე ფილიპე იესეს ძე, ორახელაშვილი მამია დიმიტრის ძე, ჯავახიშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, ხუნდაძე სიმონ ირაკლის ძე, ქლდიაშვილი თენგიზ გიგოს ძე.

ეკონომიურ მეცნიერებათა სექცია: ორაგველიძე კარლო შევარდნის ძე, დოლიძე დავით გრიგოლის ძე, აგამალიანი რაფიტი, მაგლობლიშვილი გერმანე ანდრას ძე, პირუმოვი სიმონ გრიგოლის ძე, გვგინაშვილი ფილიპე გაბრიელის ძე, დევდარიანი გაიოზ, ახუნდოვი ლიზა, ტიმოფევი სტეფანე ნიკოლოზის ძე.

ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სექცია: ტოროშელიძე მალაქია გიორგის ძე, ვაშაყმაძე ივანე, მეგრელიძე კიტა, შარია პეტრე ათანასის ძე, ბოლოტნიკოვი ალექსი ალექსანდრეს ძე, ნუტუბიძე შალვა ისაკის ძე, გორდელაძე კონსტანტინე, უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე.

მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ისტორიის სექცია: კეკელიძე კორნელი სამსონის ძე, დუდუჩავა ალექსანდრე იოსების ძე.

მათემატიკის დისციპლინის სექცია: მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე, ნიკოლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე.

გიოგრაფიის სექცია: ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე.

ფიზიკისა და გეოფიზიკის სექცია: სულაქველიძე კონსტანტინე ამბაკის ძე.

გეოლოგიისა და მინეროლოგიის სექცია: ჯანელიძე ივანე ალექსანდრეს ძე, თვალჭრელიძე ალექსანდრე ანტონის ძე.



წერილი გერმანიიდან

ლოლიკას დამორბეულ მოკლე პოლიტიკურ დასკვნას ყურადღებას არ მივაქცევთ, ფაქტები ობიექტიურად არის გადმოცემული. მაგ. ის სწერს, რომ საქართველოს მთავრობა შეეცადა კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნას, აღნიშნავს, რომ ამავე მთავრობამ, დენიკინის დაცემის შემდეგაც, 1920 წელს, კვლავ გამართა მოლაპარაკება ამ მიზნით, მაგრამ ცდამ მიზანს ვერ მიაღწია. რადგან თათრებს და სომხებს შორის შეთანხმების ნიადაგის პოვნა შეუძლებელი იყო» (გვ. 116).

საქართველოს დაპყრობის შესახებაც გვარიან მიუდგომლობას იჩენს, როცა სწერს, რომ «წითელი ჯარები დაესხა თავს საქართველოს 1921 წ. მათ მხარი დაუჭირა თბილისში (1) ბოლშევიკურმა აჯანყებამ (?), რომელშიდაც მოწაწილეობა მიიღეს უმთავრესად რუსის და სომხის ელემენტებმა».

ამას გარდა, წიგნის მოწრიული ნაწილი სათაურებით: «ბათუმიდან თბილისამდე», «გავლა საქართველოში», «თბილისი», «სომხეთისაკენ» შეიცავს საქართველოს აღწერას, სადაც ნანსენს ჩვენი ერისდმი იგივე სიმპატია ემჩნევა. სხვათა შორის «მცხეთისაკენ» ამბობს, ის მარტოდ წაივდა საქართველოს უძველეს ქალაქში, რადგან სურდა მარტოობა, მარა გზაში სხვები წამოეწიენ. მცხეთაში კი მას დასწევია ქართული ჩეკის შიკრიკი, ჟურნალისტის სახით, ქალადი და კარანდაშით ხელოში, რომ გამოეტყუა ერთნაირი მოწოდება ქართველი ერისადმი ამ ისტორიული ადგილიდან». ნანსენი შენიშნავს: ძნელი იყო გამეგებინებია მისთვის, რომ მე არ მიმაჩნდა შესაძლებლად პრესის საშუალებით შემცნო ქართველი ერისათვის ჩემი პირადი შთაბეჭდილებანი»

ერთა ლიგის უკანასკნელ ყრილობაზე ნანსენმა საჯაროთ უარი სთქვა რამდენიმე წლის განმავლობაში ნაცოდვილზე პლანზე, რომელსაც ის გრანდიოზულათ და სომხეთის საკითხის საბოლოო გადაჭრათ ხატავდა. მან ის უტოპიათ იცნო. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ამ ბნის განმავლობაში სირიაში, უხმუროდ, უპროპაგანდოთ, უკრედიტოთ ათჯერ მეტი სომეხი ჩასახლებულა ვინემ სომხეთში. სადაც თვით ადვილობრივი მკვიდრნი სჩივიან, მიწა არ გვეფენისო. ეს პლანი იყო ის კვანძი, რომელიც ნანსენს იძულებულათ ხდიდა საბჭოებთან ყოველივე საშვალეებით კარგი განწყობილება ეძებნა. ამის შემდეგ ნანსენი იობის მიმე ტვირთისაკან განთავისუფლდა, მიიღო ჩვეულებრივი სახე. 5-6 წლის განმავლობაში პირველათ თავაწეული ვნახე და როდესაც ერთი კერძო კრების შემდეგ ძველებურათ ხელი ვაუწოდე, ორივე ხელი მაგრათ მოჰკიდა, კარგა ხანს გააჩერა და ჩვეულებრივ ღიმილით პირდაპირ შემომხედა და მხურვალე მადლობა მითხრა...

ნანსენი კვდება, სამწუხაროთ, სწორედ ისეთ დროს, როცა მან თავი დაანება შემცდარ გზას და როცა მას დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო კაცობრიობისათვის, რომელიც მას ძალიან უყვარდა, სომხობისათვის, რომლის დიდი მეგობარი იყო და აგრეთვე ქართველი ერისათვისაც, რომლისადმი მას უეჭველათ მხურვალე სიმპატიები ჰქონდა.

ს. შავიშვილი.

1914 წლიდან მოყოლებული ვიდრე ომის ბოლომდე, თითქმის ხუთი წლის განმავლობაში, დამქანცველი და გაფაციცებული მუშაობის შემდეგ, თითქმის ამოისილა ის ტვინის ხნული, რომელსაც ამ დროის შესაფერისი ძალა დაატყდა და რომელიც წლების განმავლობაში ღრმავდებოდა. ომის ძიმე შედეგებმა, საკმაოდ ბასრი სახნისი უმემკვიდრა, როგორც გამარჯვებულთ ისე დამარცხებულთ, რომ ტვინის იმ ზედაფენზე გადაეფლოთ, რომელსაც დიდი საპასუხისმგებლო საქმე უნდა ეკისრა.—საქმე მორიგების, შეჭმნილ სიძნელეთა ძლივის და წამხდარის გამოკეთების. დაიწყო მუშაობა. არა ნაკლები ჯაფის და ბეჯითობის. ჯერ კიდევ გუშინდელი ხნული ამ სახნისის, იუნგ-პლანია.—მისი შედეგი, რაინლანდის გათავისუფლება.

გერმანიის «ომის ღმერთმა», ყოფილმა ფელდმარშალმა და დღევანდელმა რესპუბლიკის პრეზიდენტმა, პინდერბურგმა, აწ განსვენებულ გერმ. საგარეო მინისტრის შტრენგმანის დაწყებული საქმე დააბოლოვა. გერმანიის დიდმა პატრიოტმა და უკიდურესმა მემარჯვენემ, მიუხედავთ გაფრთხილებისა და შემდეგ «ჯარის» პროტესტისა, იუნგ-პლანზე—მართალია, მისივე სიტყვის არ იყოს «ძიმე გულით», მაგრამ მაინც, ხელი მოაწერა. აქტი თავისთავად ბევრის მთქმელია და მრავალმნიშვნელოვანი.

ევროპა, მშვიდობიანობის საკურთხეველისკენ, მიმედ მიაბიჯებს.

ადვილი გასაგებია.—დამარცხებულ ქვეყნებში ომის შედეგები უფრო მწვავე და საგრობობია, კრილობა უფრო ღრმა და მტკივნეული. შინაური უკმაყოფილება და წონასწორობის დამყარებაც შედარებით დიდი და ძნელია.—შინაური პოლიტიკური სიურპრიზებიც, ადვილათ მოსალოდნელი.

გერმანიას არ ჰყოლია უკანასკნელ წლებში მთავრობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით, სტაბილური უკანასკნელი. ბრიუნინგის მთავრობის ბედი, მრავალჯერ ბეწვზე ეკიდა და მისდამი ნდობა, პარლამენტში მხოლოდ რამდენიმე ხმამ, ძლივს გაათრია. ა. წ. ივლისში, მთავრობამ დაუნდობელი პარლამენტის დაინიშნა. ახალი არჩევნები 14 ენკენისთვის დაინიშნა. ახალი პარლამენტის ბედის გადაწყვეტა, ამ დღეს მიანდვეს.

არჩევნები მოხდა. მისმა შედეგმა მიიქცია მთელი ევროპის ყურადღება. სიურპრიზი, რომელიც ზევით მოვისხენიეთ,—ფაქტი გახდა.

პოლიტიკური არენა უმთავრესად სამი პარტიის, ბრძოლის მოწმე იყო. ახალ პარლამენტშიდაც, თუ მას დიდი ხნით არსებობა ბედათ უწერია, დაჯგუფება ალბათ, ორ ძლიერ პარტიის ირგვლივ მოხდება, სოც.-დემოკრატებისა და ნაციონალ-სოციალისტების ირგვლივ.

14 ენკენისთვის დაიწყო პარლამენტარიზმის და დემოკრატისმის კრიზისი გერმანიაში.

არჩევნებიდან უმთავრესად ორი პარტია გამოვიდა მოგებული. ერთი, რომელიც გერმანიას რუსეთისებურ სამოთხეს ჰპირდება, მეორე, რომელსაც

ტალიის ყაიდაზე სურს გერმანიის გარდაქმნა. მოსკოვი და რიმი. გერმანიის დღევანდელი ნიადაგი ნოყიერი გამოდგა პირველისთვის, მაგრამ უნოყიერესი მეორესთვის. 14 ენკენისთვის ერთბაშად იფეთქა «მოსავალმა».

ნაციონალ-სოციალისტთა პარტიის არსებობა ამ ორი წლის წინად შეუმჩნეველი იყო. არამც თუ უცხოეთისთვის, არამედ გერმანიისთვისაც. მას 1928 წელს არჩეულ პარლამენტში, დეპუტატთა რიცხვით მეცხრე ადგილი ეკავა. დღეს—მეორე: ნახტომი არ გაგონილი და არ მოსწრებული.

მოკლეთ მოგვყავს არჩევნების შედეგი:

1928 წლის პარლამენტის არჩევნებში სოციალ-დემოკ. პარტიამ მიიღო 9.150.533 ხმა — 153 მანდატი. კომუნისტებმა 3.262.786 ხმა — 54 მანდატი. ნაციონ-სოციალისტებმა 809.939 ხმა — 12 მანდატი. ახალ პარლამენტის არჩევნებში.—14 ენკენისთვის: სოციალ-დემოკრატებმა 8.581.292 ხმა—143 მანდატი. კომუნისტებმა 4.541.718 ხმა— 77 მანდატი. ნაციონალ-სოციალისტ. 6.410.210 ხმა—107 მანდატი.

მოსკოვს «თავბრუდამხვევი მიღწევანი» აქვს მოსკოვში და თავბრუდამხვევი «გამარჯვება» გერმანიისში.

77 «წითელ-პერანგას» ახლად არჩეულ «სალაყბოში» (ტერმინოლოგია კომუნისტთა და მმთა მათთა) 12-ის ნაცვლად 107 ყვითელპერანგა თან შეჰყვა.

საბჭოთა გერმანიის მომლოდინეს დიდი კვერი თან უნდა ჰქონდეს (რუსეთში ეს კვერიც აღარ იშოვება). არჩევნებმა ნათელყო, რომ გერმანიისთვის საფრთხე მარჯვნივა და არა მარცხნივ. 107 დეპუტატის გაყვანის გარდა, ნაციონალ-სოციალისტების რიგები, კომუნისტებთან შედარებით, უფრო მკვიდრი და მავარია. ორგანიზაციული ჩამოყალიბებაც უფრო ფოლადური და მილიტარული. მათი გავლენა სამხედრო ძალეზე საგრძნობია. ამ პარტიის 11 წლის პოლიტიკური ბრძოლის და არსებობის დახასიათება, სულ რამდენიმე სიტყვით არის შესაძლებელი:— გერმანია ებრაელთა კაპიტალის მონაა, გერმანიის ხალხი ებრაელთა მიერ ჯვარცმულია, ებრაელთა ადგილი—პალესტინაა. სიკვდილი ებრაელობას და მარქსიზმს. ღალატით წაგებული ომი და ომის შემდეგ მიღებული «შეთანხმებანი», დაკარგული ტერიტორია.—მიზნება გერმანულ ხალხის დღევანდელი უბედურების, გერმანიის მონაობის, ფინანსური კაპიტალიზმის და სამეურნეო ქაოსის.—გერმანია გაიღვიძე! ასეთია ამ პარტიის პოლიტიკური მრწამსი.

ნაციონალ-სოციალისტების შინაურ პოლიტიკის და პროგრამის სურათი, შედარებით უფრო მკრთალი და დაუსრულებელია, ვიდრე მათი საგარეო პროგრამა. რადიკალობა აქაც დამახასიათებელია. მათი სიტყვა,—საქმეზე ვერას ვიტყვით, რადგანაც მასზე ჯერ არ მიმდგარან,—უფლებას გვაძლევს, მათ რევანშობის სურვილი დავსწამოთ. მათი განხეთის ფურცლები დანაშულია, კოლონიების დაკარგვის გამო დადგრილი ცრემლებით. დიდია ოცნება კორიდორის გარშემო. უსაზღვროა მათი აღშფოთება, საფრანგეთის «მტრული» პოლიტიკით გამოწვეული, პოლონეთის «თავხედობით», ჩეხო-

სლოვაკიაში გერმანელების «დევნით» და გერმანიის ერთა ლიგის «ხაფანგში» მომწყვდევით. იუნგ-პლანის და წინა მომხთარ შეთანხმების შეუთრეგბელი მტერნი, გერმანიის ხალხს, მისთვის ღირსეულ შეთანხმებისაკენ მოუწოდებენ. როგორც ვხედავთ, სურათი ნათელია და მკვეთრი...

სრულიად ასახსნელი და ბუნებრივია უცხოეთის ყურების ცქცეტა და ყურადღება, რომელიც გერმანიაში მომხდარ 14 ენკენისთვის არჩევნებს წილად ხვდა.

14 ენკენისთვის აფრთხილებს უპირველესად ყოვლისა გერმანიის დემოკრატის და გერმანელ ერს, რომ ილიუზიებს თავი არ მისცეს. 14 ენკენისთვის აფრთხილებს ევროპის დემოკრატის და გერმანიის მეზობლებს.

ს.—თურგლი.

რას სწავნის ბოლშევიკიზმი

ცნობილი გერმანელი მრეწველი რეპბერგი ფრანგულ გაზ. «მატენ»-ში აფრთხილებს ევროპის სახლადოებას იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც ამზადებენ ბოლშევიკები: «საშინელი უბედურება მოელოს—სწერს იგი—არა მარტო ჩემს სამშობლოს გერმანიას, არა მარტო საფრანგეთს. არამედ ევროპის ყველა ერებს. მთელი ევროპის მომავალს. ამ საშიშროებას წარმოადგენს ის აქტიური პროპაგანდა, რომელსაც ეწევიან კომუნისტები გერმანულ ნაციონალისტებში, რომელიც დღითი დღე იზრდება და საუბედუროთ ნაყოფიერიც არის. დროა ნიღაბი აეხადოს კრემლის საბედისწერო გეგმას, თორემ მერე გვიან იქნება. მე უკვე მივაქციე ამას ყურადღება გერმანულ პრესაში, ესევე მინდა ახლა ფრანგულში.

ხშირად უარყოფდენ ამას, მაგრამ უკანასკნელი დროის ამბები ნათლად ადასტურებენ, რომ კრემლის წითელი მტარვალეები ყოველგვარი საშუალებით და საფასურით ცთილობენ გავლენა მოიპოვონ გერმანულ ნაციონალისტებზე. ბოლშევიკების თამაში პირველი შეხედვით გაუგებარია,—ზოლო ყოველივე მეტად აშკარა ხდება, როცა კარგად გავცნობით მოსკოვის გეგმას.

1. ბოლშევიკები ყოვლის უწინარეს უმტიკიცებენ გერმანულ ნაციონალისტებს, რომ საფრანგეთის და პოლონეთის ჯარები სერიოზულად არ იომებენ მომავალ ომში, და ინგლისის ფლოტის ტექნიკური პერსონალი იმყოფება ბოლშევიკების გავლენის ქვეშ. საბჭოთა ემისრები არწმუნებენ ბერლინში, რომ საფრანგეთის ყოველ ათასეულში მათ აქვთ «ყურები»—კომუნისტური უჯრედები, რომელთაც შეადგენენ ფარულად ჯარში მყოფი ფრანგის კომუნისტები. ფრანგის კომუნისტები წესიერად აწვდიან ცნობებს საბჭოთა აგენტებს, რომელიც პარიზში ცხვობენ და აღუტურვილნი არიან დიპლომატიური ხელუხლებლობით. პარიზიდან ცნობები იგზავნება მოსკოვში, იქიდან ბერლინში და ბოლშევიკ ემისრების მეხნებით ვრცელდება გერმანიის ნაციონალისტურ წრეებში. ამავე დროს მოსკოვი ცთილობს დაარწმუნოს



ბერლინი, რომ პოლონეთის ჯარი კიდევ უფრო გაზრდილია. ამგვარივე ცნობები ვრცელდება ინგლისის ფლოტის შესახებაც.

2. ამ ცნობების მიხედვით ბოლშევიკები ამბობენ: გერმანია და რუსეთი ერთად დაესხმიან პოლონეთს, რომელსაც ადვილად მოერვებიან. გერმანია დაიკავებს აღმოსავლეთის წართმეულ პროვინციებს და სხვა ტერიტორიასაც. ფრანგები მიეშველებიან პოლონეთს და შემოიჭრებიან გერმანიაში. გერმანელი პარტიზანები გასწყვეტენ ფრანგის ჯარის კავშირს საფრანგეთთან. და ამასთან ერთად ფრანგის ჯარზე იერიშებს მიიტანენ საბჭოთა ავიატორები, რომლებიც აუხსნიან ფრანგ სალდათებს, რომ მათმა მთავრობამ გამოგზავნა ისინი ახალ ომში, რომელიც სწარმოებს საფრანგეთის კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ბოლშევიკები დასძენენ: ფრანგებს არ შეუძლიათ მთელი გერმანიის ოკუპაცია და მუდამ იქ დარჩენა. ვერ გაბედავენ ელბის აღმოსავლეთით წასვლას. როცა რუსეთის და გერმანიის ჯარები მორჩებიან პოლონეთს, მოაწყობენ ფართო მასშტაბით კონტრ შემოტევის. თუ ვინც ცობაა ფრანგები ელბაზე გადმოვიდნენ და მთელი გერმანია დაიკავეს, მათი მდგომარეობა კიდევ უარესი შეიქნება. ზურგიდან პარტიზანები შემოუტევენ, წინიდან ბოლშევიკური ავიატორები და წითელი და გერმანელი ჯარები და ფრანგები იძულებულნი გახდებიან სასწრაფო უკან დაიხიონ საფრანგეთში. გამარჯვებული წითელი არმია გერმანელებთან ერთად მოახდენს ბოლშევიზმის ლიკვიდაციას რუსეთში და შეკავშირებული რუსეთი და გერმანია შეიქნებიან მთელი ქვეყნის ბატონები.

3. ინგლისი—ამტკიცებენ ბოლშევიკების აგენტები—არ ჩაერევა ევროპის ახალ ომში. ერთის მხრით მას ეშუქრება სამრეწველო-ფინანსური და პოლიტიკური კრიზისი და სახლგაო პეგემონია ამერიკის შტატების და მეორეს მხრით საბჭოთა პროპაგანდა აზიაში. ინგლისი რომ ომში ჩაერიოს, მეორე დღესვე აუჯანყდებიან აზიის და შეიძლება აფრიკის ერებიც. ინგლისის ფლოტი ვერ შესძლებს თავისუფალ მოქმედებას, რადგან მისი ტექნიკური პერსონალი ბოლშევიკების გავლენას ემორჩილება.

4. ამავე აგენტების სიტყვით, იტალია ამ ომში რუსეთის და გერმანიის მხარეზე იქნება. ეტყობა, მოსკოვმა მართლა დაარწმუნა მუსოლინი, რომ საფრანგეთის ჯარი, მიუხედავად მისი ტექნიკური უპირატესობისა, სრულებით საშიში არაა, და რომ ინგლისი ახალ ომში მოწაწილეობას არ მიიღებს. მუსოლინი დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკები არ ერევინ იტალიის შინაურ საქმეებში. არც ჩაერვებიან ომის დროს, როცა რუსეთი იტალიის მოკავშირე იქნება, არც ომის შემდეგ, როცა მთელ ევროპაში, გარდა იტალიისა, სრული არევიდარევა დამყარდება. ამბობენ, მუსოლინმა ერთს უცხოელ დიპლომატს უთხრა: საფრანგეთის დამარცხების შემდეგ მთელი ხმელთაშუა ზღვა იტალიის გახდება და მაშინ იგი, ვით იულიოს კეისარი, საფუძველს დაუდებს რომის ახალ იმპერიას...

დაარწმუნებული ვარ, ამბობს რეპორტი: ბევრი

რამ, რასაც ბოლშევიკები ბერლინიში ავრცელებენ, გადამეტებულია, ან სრულებით მოგონილია. ხოლო მთავარი აქ ის კი არაა, შეეფერება სინამდვილეს ბოლშევიკების ნალაპარაკევი თუ არა, არამედ ის—სჯერათ ეს გერმანელ პარტიოტებს თუ არა? კრემლი გაცხარებულად მუშაობს იმისათვის, რომ ევროპაში ახალი ომი გამოიწვიოს. ბოლშევიკებს არ აინტერესებთ—თუ ვინ გაიმარჯვებს: იტალია და გერმანია, თუ საფრანგეთი და პოლონეთი. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ახალ ომს მოყვება ბოლშევიზმის გამარჯვება ჯერ დამარცხებულ ერებში და მერემე გამარჯვებულებშიც...

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

(გაზეთებიდან)

ს. დირბის (გორის მახ.) არტელის წევრებს «კულაკებმა» აუტრეს ოთხი დღიური ვენახი.

— გაზ. «კომუნისტის» თითქმის ყველა ნომერში ვკითხულობთ ასეთი სათაურის წერილებს: «ტრაქტორებს უმიზნოთ იყენებენ», «მეწველ პირუტყვს დაღუპვა მოვლის», «კოლპერატივმა ვერ შესძლო დირექტივების შესრულება», «ბოლო მოუღოთ პურის წიგნაკების ბოროტად გამოყენებას» და სხვა, რაიც ნათლად ასურათებს ბოლშევიკურ ცხოვრებას.

— ა. კ. ვაჭრობის კომისარიატის ცნობით, 25 სექტემბრისათვის ამიერკავკასიაში დამზადებული იყო სულ 487009 ცენტრერი პურეული, რაც გეგმის 54.1 პროცენტს შეადგენს. კერძოდ აღერბეიჯანში დამზადებული იყო 296570 ცენ. (გეგმის 54, 5 პროც.) სომხეთში 47460 ცენ. (გეგმის 34, 6 პროც.) და საქართველოში 142979 ცენ. (გეგმის 65, 1 პროც.)

— «კომუნისტის» სიტყვით, იმ დროს როცა ტფილისის ბაზარი განიციდდა ბოსტნეულის და ხილის დიდ ნაკლებობას, მუშაკობს და «სოფლის მეურნეს» უთავბოლოობისა გამა ტფილისის მიდამოებში კოლექტივებს უფუძებოდათ დიდძალი ხილი და მწვანეული.

— მუშათა ბრიგადამ ქუთაისის ყველა მაღაზიებში აღმოაჩინა გადამალული დეფიციტიანი საქონელი: 160 კილო შაქარი, 176 კ. ზეთი, დიდძალი კალოში, ძაფი, ბრინჯი და მკარონი. ბრიგადამ აღმოაჩინა აგრეთვე შექვეს მაღაზიაში 11 მ. 50 კ. ვერცხლის სურდა ფული და მაღლაკის კოლპერატივიში 51 მ. 75 კ. სურდა ფული მაშინ, როდესაც მყიდველებს სურდას არ აძლევდენ.

— ბოლშევიკურ კოლპერატივების «მოღვაწეობა» სწორედ საარაკო განდა. ეს მახარაძემაც დინახა და ერთს თავის სიტყვაში სთქვა: «კოლპერატივის ნოქარი დახლთან ზის, გულდამშვიდებით ეწევა პაპიროს და საქონელს იმას აძლევს, ვინც მოპრიანება, ქუჩაში კი რივი დგას. თურმე დუქანში ნავთი არ არის, გრძელი რივი კი საათობით იცდის. ხომ შეეძლოთ თავის დროზე გამოეტყულებით, რომ ნავთი დღეს არ იქნება?».

— 2 ოქტ. «კომუნისტს» ატყობინებენ ქუთაისი-დან: «პარტიის რაიკომის სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუ-ზეუმის დაარსების დღიდან იმყოფება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო პირების ხელ-ში. მუზეუმის დირექტორი ტრ. ჯაფარიძე არის ყო-ფილი თავადი (?), დამთავრებული აქვს სასულიერო აკადემია; მისი მთავარი ყოფილი სასულიერო პი-რი, საქმის მწარმოებელი ყოფილი დიაკონი... რასა-კვირველია, ხსენებული პირები გადაყენებულ იქნენ.

**ს ა ზ ზ ო თ ა რ უ ს ე მ თ უ ი**

(ქუთაის-განყოფიდან)

რუსეთში ყველაფრის კრიზისია.—არ იშოვება საქმელი, არ იშოვება საცმელი. ტანსაცმელის კრი-ზისის შესანელებლათ ვაჭრობის კომისარიატმა «სა-ინტერესო» პროექტი შეადგინა,—იყიდონ სახლვარ-გარეთ ძველი, გამონაცვალი ტანსაცმელი, განსაკუ-თრებით სამხედრო პირების, გადააქეთონ ეს ტანსა-ცმელი ამისათვის საგანგებო მოწყობილ სახელო-სნობებში და შემდეგ მიყიდონ ხალხს. ბოლშევიკური პრესის აზრით, ეს ოპერაცია დიდად მოსაგები საქმე იქნება მთავრობისათვის.

— საბჭოთა ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეკიდება გერმანიაში, უკანასკნელი არჩევნებით, შე-ქმნილ პოლიტიკურ ვითარებას. მაქს პოლცი, მესამე ინტერნაციონალის ემისარი გერმანიაში, რომელიც ბერლინის ციხიდან გამოიქცა, ჩავიდა მოსკოვში და მიიღო მონაწილეობა პოლიტიკურს სპეციალურ სხდომაში, სადაც ირჩევოდა გერმანიის ამბები; გა-დაწყვიტეს ითანამშრომლონ რასისტებთან და ამავე დროს ემზადონ კომუნისტურ გადატრიალებისა-თვის.

— მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სახელმწიფო ბონების ემისიის შესახებ. გამოიცემა დაახლოვებით სამი მილიარდი ბონი.

— მთავრობას განზრახვა აქვს მოსპოს ფული და მის ალაგას შემოიღოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა-საგანგებო კომისია, რომლის თავმჯდომარე მიქოი-ნია, ამზადებს ამ რეფორმის პროექტს.

— მუშათა და გლეხთა საკანტროლო კომისიამ გამოაქვეყნა ანგარიში საბჭოების ნაციონალურ პო-ლიტიკის შესახებ. ამ დოკუმენტის მიხედვით, კომი-სრები და საზოგადოთ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელნი, რომლებიც უმთავრესად რუსი კომუნისტები არიან, ატარებენ ნაციონალურ რეს-პუბლიკებში გარუხების პოლიტიკას.

— «საბოტაჟთან და სპეკულაციასთან» მებრძო-ლმა გეპეუს საგანგებო კომისიამ გამოაქვეყნა მის მიერ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში დახვრე-ტილთა სია. დაუხვრეტიათ 547 კაცი. ამ სიაში არ შედიან გეპეუს სხვა სექციების მიერ დახვრეტილები, არც ხორბლის სარეკვიზიცია კომისიის მსხვერ-პლნი.

— სასურსათო კრიზისი თანდათან მწვავედება. ამ ნიადაგზე უკმაყოფილება მუშათა წრეებში დღითი დღე ძლიერდება. ეს უკმაყოფილება განსაკუთრე-ბულ ხასიათს იღებს პეტროგრადის და მოსკოვის მუშებს შორის. «ს ტ ო»-ს საგანგებო სხდომა ქონდა მდგომარეობის გამოსარკვევათ. სხდომაზე მოწვეუ-ლი იყო პეტროგრადის და მოსკოვის საბჭოების წა-რმომადგენელნი. პეტროგრადის დელეგატმა განაც-ხადა,—თუ დაუყოვნებლივ არ იქნა გაუმჯობესებული სასურსათო მდგომარეობა, სერიოზული არეულობე-ბი არის მოსალოდნელი.

— გლეხები უარს ეუბნებიან მთავრობას სურსა-თის მიცემაზე. მთავრობა ტყვიას არ ზოგავს. ალაგ-ალაგ ნამდვილი ომია გლეხებსა და «ჩონის» რაზმებს შორის.

— ოფიციალური ცნობით, უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ტერიტო-რიაზე 16.000 სარკინიგზო კატასტროფას ქონდა ად-გილი.

— მოსკოვი 48 კაცის დახვრეტის შემდეგ წაავაგს ალყაშემორტყმულ ქალაქს. დახვრეტის წინ სულზე სასურსათო ბარათებით აძლევდნ ერთმეოთხედ გი-რვანქა ხორც ორჯერ კვირაში, ახლა კი იძლევიან 5 გირ. თვეში, რომ აჩვენონ ხალხს, «მავნებელთა» მოსპობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო.

დახვრეტის წინ მასწავლებლები კითხავდნ ბავ-შებს: რა უნდა უყონ «მავნებლებს»?—«დახვრიტეთ», —უნდა ეპასუხათ ბავშვებს ერთხმათ.

დღეში იძლევიან სასურსათო ბარათებით ერთ მეოთხედ გირვანქა წითელ პურს და ერთ მეოთხედ გირვანქა შავ პურს.

საპანი ერთი ნაჭერი თვეში, შაქარი სამი მეოთ-ხედი გირვანქა, კვერცხი ეძლევა მხოლოდ ბავშვებს ბარათებით,—ერთი კვერცხი 18 კაპ. ღირს. თავისუ-ფალი ფასით 10 კვერცხი ღირს 4 მან. 20 კ. გირვანქა ხორცი 3 მან. 50 კაპ., გირვანქა პური 1 მან. საკასტი-უმო ნაჭერი 1000 მან., ბარათებით 300 მან., კალომე-ბი (ბარათებით) 13 მან. ქალის ფესხაცმელი 230 მან. (თავისუფალი ფასი), ქათამი—15 მან.



**ახალი წიგნი**

გამოვიდა ნ. ქ ო რ დ ა ნ ი ა ს ახალი წიგნი

„**მ ე ზ ხ ი ს ტ შ ა ო ს ა ნ ი**“

გამოცემა ოდენკურის ქართველ ასოციაციის.

წიგნი შეიცავს 84 გვერდს,

დაბეჭდილია კარგ ქალაღზე, ლამაზი ყდით,

ღირს 8 ფრანკი.

გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით:

**M-r O U R A T A D Z E**

10, rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France